ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 22 ივნისი 1998 №98 (633) ფასი 50 თეთრი


# გერმანია — იუგოსლავია 2:2
# არგენტინა — იამაიკა 5:0
# აშშ — ირანი 1:2



REUTERS

ბირჰოფის თავური თითქოს გარდაუვალი იყო — აწ უკვე „მილანის“ თავდამსხმელმა მაინც დაასვა თავისი საფირმო ნიშანი იუგოსლავიელთა კარს

**F ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ირანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

*25 ივნისი. გერმანია — ირანი, აშშ — იუგოსლავია*

**H ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | [illegible] | [illegible]:0 | 6 |
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| იამაიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

*26 ივნისი. არგენტინა — ხორვატია, იაპონია — იამაიკა*

## დღეს ორი მატჩია

**კოლუმბია — ტუნისი**

მონპელიე. 1[illegible]

**რუმინეთი — ინგლისი**

ტულუზი. 23:00



რაც მსოფლიოს ჩემპ[illegible]ონატი [illegible]ყო, გუშინდ[illegible]ე ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა — სამ თამაშში 12 გოლი გავიდა! გუშინვე პირველი ჰეთ თრიკის მოწმენიც გავხდით — არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, პირველმა მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ მატჩში სამი გოლის გატანა.

გუშინ კიდევ ერთი ქართული კლუბის ევროდებიუტის დღე იყო: ინტერტოტოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ქუთაისის „ტორპედომ“ ერევნის „ერებუნი-ომენმენს“ უმასპინძლა. გია მეგრელაძემ და დავით ჯანაშიამ წყვილ-წყვილი, ზაზა ვაჩიბერაძემ და კახა კვეტენაძემ თითო-თითო გოლი გაიტანეს და „ტორპედომაც“ 6:0 მოიგო!

იხილეთ მეცხრე გვერდი

— მე თუ მკითხავთ, ყველაზე კარგი ის იქნება, რომ ფიფამ ორი მსოფლიოს ჩემპიონატი გამართოს. ერთი კარგი გუნდებისთვის, მეორე — ამერიკა-ირანის მსგავსთათვის. რატომღაც, როცა მეტოქეები არატრადიციული საფეხბურთო ქვეყნებიდან არიან, ყოველთვის მძაფრი, უშეღავათო, საინტერესო ბრძოლის მოწმენი ვხდებით. ამერიკა — ირანიც ასეთივე მატჩი იყო. მიუხედავად ამერიკელთა აშკარა უპირატესობისა, მაინც უსუსურმა ირანმა გაიმარჯვა. არადა, ამერიკა ვალდებული იყო სულ ცოტა სამი ბურთი გაეტანა მეტოქისთვის. ეს ორივე გუნდი იაპონიაზეც სუსტია და კორეაზეც. მათ შორის თამაში კი ერთ-ერთი ყველაზე დაძაბულ-საინტერესო გამოდგა. ამიტომაც ვთქვი, ორი ჩემპიონატი ჩატარდეს-მეთქი.

გერმანელებმა ძალიან გამახარეს. არა იმიტომ, რომ კარგად ითამაშეს, უბრალოდ, გუშინ ყველას იმას ვეუბნებოდი

**ექსპერტის კომენტარი** *ვლადიმერ პაპავა*

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



## უსუსურებმა ომი იციან

ეგ მატჩი ფრედ დამთავრდება-მეთქი. თამაშით კი იუგოსლავიას უნდა მოეგო, მაგრამ რას იზამ, უკვე მერამდენედ სჩადიან გერმანელები მსგავს სასწაულის მაგვარს. თითქმის უიმედო მდგომარეობა გამოასწორეს და თავიანთი ძალა ყველას დაანახეს. თუ გერმანელებმა ფიზიკურ დატვირთვებს გაუძლეს, მაშინ ეს სამაგალითო იქნება, მწვრთნელები იფიქრებენ, წარმატება ვეტერანი, გამოცდილი ფეხბურთელებით მიიღწევაო და არაა გამორიცხული, მომავალშიც ფოგტსს მიბაძონ. მათთვის მთავარი ძალაა, თუ ახლანდელი ენერგია შეინარჩუნეს, ესენიც ძალიან რეალური კანდიდატები იქნებიან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. იუგოსლავები კი უფრო პერსპექტიული გუნდია, ახლა არ ვიცი, მაგრამ ცოტა ხანში ნამდვილად რამეს მიაღწევენ. ამ ეტაპზე გერმანელებზე უკეთაც ბურთაობენ, თუმცა გამოცდილებით ჩამოუვარდებიან.

არგენტინაზე ძველს გავიმეორებ: ი[illegible]რჯიშეს და აუღელვებლად მიაღწიეს საწადელს. ძალიან კარგი გუნდია. ყველასთვის დიდი, სერიოზული და ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ბოლოს კი ერთსაც დავამატებ — ქუთაისის „ტორპედოს“ ვულოცავ შთამბეჭდავ გამარჯვებას.

# სპარსეთის ისტორიული გამარჯვება

მატჩი №30. 21 ივნისი. ლიონი. სტად ჟერლანი. 44 000 მაყურებელი

## აშშ 1:2 ირანი

0:1 ესტილი (40), 0:2 მაჰდავიკია (84), 1:2 მაკბრაიდი (87)

მსაჯებისგან მარცხნივ ირანელები იყვნენ გამწკრივებულნი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰიმნების შემდეგ ამერიკა უნდა მდგარიყო, ირანი კი მიახლებოდა და ხელი ჩამოერთმია. ამერიკელებმა წესი დაარღვიეს, თავად ეახლენ მეტოქეს.

ირანელებმა ამერიკელებს გარდა ვიმპელისა და თაიგულებისა, სინი და სხვა საჩუქრები გადასცეს.

ირანელთა მწვრთნელი ჯალალ თალები ამერიკელ კოლეგას, სტივ სემპსონს ეახლა და ხელი ჩამოართვა.

გუნდებმა მეგობრული, ხელიხელ გადახვეული ფოტო გადაიღეს.

ძირს მტრობა, გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას!

მერე კი შვეიცარიელმა (ნეიტრალური ქვეყნის შვილმა) არბიტრმა ურს მაიერმა ჩასტვინა და გაჩაღდა დიდი ბურთაობა.

გუნდების სასტარტო შემადგენლობებში შინა შეხვედრებთან შედარებით ცვლილებები იყო. ირანის გუნდში კვლავ გამოჩნდა მეკარე და კაპიტანი, ვეტერანი აჰმად აბედზადე. ამერიკის გუნდში აღარ იყო მთავარი ბომბარდირი ერიკ ვინალდა და გუნდის წინა სამკუთხედი ვეგერლეს, მაკბრაიდისა და მურისგან შედგებოდა. არ იყვნენ ნახევარმცველები ერნი სტიუარტი, ჩად დერინგი და ბრაიან მეისონევი. სამაგიეროდ იყო ამომავალი ვარსკვლავი ფრენკ ჰეიდუკი, რომელმაც საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ ერთი მეტრიდან ერთი ისეთი გოლი ვერ გაიტანა, რომ...

თამაშის წინ, ლიონის სტადიონთან ირანელმა დისიდენტებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია. მათ ხელთ ეპყრათ პოლიტიკური მოღვაწის, მარიამ რაჯავის პორტრეტი და დიდი პლაკატი, რომელზეც ეწერა „ირან რაჯავი". ცნობისათვის, მარიამ რაჯავი ირანის ოპოზიციონერთა მოძრაობის მიერ არჩეული, ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი გახლავთ. შიგ, სტადიონის ტრიბუნაზე გადმოფენილი გახლდათ მეორე პლაკატი: „ძირს ხატამი". მოჰამედ ხატამი ირანის პრეზიდენტია.

მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს ხალხში გასვლა და პლაკატის ჩამოხსნის თხოვნა მოუხდათ. ოპოზიციონერი გულშემატკივრები თავიდან უარზე გავიდნენ, მაგრამ შემდეგ დაყაბულდნენ ფეხბურთის დიდმოხელეთა თხოვნას.

ამრიგად, წუხელ ლიონში გამართული შეხვედრა მეტწილად პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი გახლდათ. ცალკე აშშ-ისა და ირანის სახელმწიფოთა მტრობა, ცალკე შიდა ირანული ხელისუფლება და ოპოზიცია.

ამერიკელებმა თავიდან დიდი შტურმის მოწყობა სცადეს ირანელთა კართან. აკი თამაშის წინა დღეებში ამბობდნენ, პოლიტიკური მხარე არ გვაინტერესებს, უბრალოდ სამი ქულა გვინდა იმ გუნდისგან, რომელსაც ვჯობივართო. კიდევ, ჩემპიონატის დაწყებამდე, მათი მწვრთნელი სემპსონი ბრძანებდა, ევროპელები ჯერ კიდევ ამრეზით გვიყურებენ, ამიტომ უნდა დავამტკიცოთ, რომ ელიტის დონეზე ვთამაშობთო.



ზარინშეჰმა მაღალი ჩააწოდა, ხოლო ესტილმა ლამაზი თავურით ბურთი ბადეში შეაგდო

და დაიწყეს ამერიკელებმა შეტევა, რომელსაც პირველ ტაიმში ბურთის ძელისთვის ორჯერ გარტყმა მოჰყვა. ძელს, ერთხელ მეორე ნახევარშიც დაუმიზნეს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს შვილებმა, მაგრამ მთავარში წააგეს, მათ ერთი გოლი გაიტანეს, ირანელებმა კი ორი.

არადა თავიდან თითქოს აზიელების დაცვაში გამოჩნდა ბზარი, თუმცა თანდათან იგი შეივსო (ალბათ ნერვიულობის ბრალი იყო), ტაიმის მიწურულს კი ზარანშეჰმა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა და ჰამიდ ესტილმა ლამაზი თავურით გახსნა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტში ამერიკელთა ცენტრალურმა მცველებმა შეცდომა დაუშვეს, ესტილის მეურვეობა მართებდათ.

შესვენების შემდეგ თამაში იმავე სცენარით წარიმართა: ამერიკა უტევდა, ირანი კონტრშეტევაზე ამყარებდა იმედს. ოკეანისგაღმელთა შეტევები თავიდან ისეთი სიმძაფრისა არ იყო, როგორ მერე, მაგრამ ეს სიმძაფრის მეტ-ნაკლებობაა, თამაშის სურათი კი სხვა.

მოკლედ, ირანი, როგორც მოგახსენეთ, კონტრშეტევას თამაშობდა. ერთხელ, როდესაც მთელი გუნდით მის ნახევარზე გადასულმა ამერიკელებმა მეჰდი მაჰდავიკია თავიანთი ჭკუაით ოფსაიდში დასტოვეს, გაახსენდათ, რომ მეტოქის ნახევარზე თამაშგარე არ არსებობს. გაახსენდათ, მაგრამ გვიანი იყო. ირანელთა თვალსაჩინო ფეხბურთელი კეისი კელერთან პირისპირ შევიდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

შანსი ხელიდან ალ დაეიმ გაუშვა, ნაქებმა ბომბარდირმა. ეს ცოტა ხანში კიდევ ერთი კონტრშეტევისას მოხდა, როდესაც იგი კელერთან ერთი ერთზე დარჩა, მაგრამ ვერ მოახერხა ის, რაც უნდა მოეხერხებინა, რასაც ათიდან ცხრა თავდამსხმელი შეძლებდა, რასაც თავადაც იზამდა ათიდან ცხრა შემთხვევაში.

შემდეგ კი ამერიკამ გაიტანა ერთი გოლი. ბრაიან მაკბრაიდმა თავური დარტყმით ბურთი მცველს მოჰამედ ხაკპურს ფეხებს შორის გაუძვრინა.

ხოლო ბოლოს იყო ვნებათაღელვა, გოლი აღარ ყოფილა.

ირანმა მოიგო, სპარსელებმა მტერი დაამარცხეს. ტყუილია ყვავილები და სინი, მართალი მათი სიხარულია. მათ იციან, რომ სამი ქულა არ არის საქმე, საქმე ამერიკის ძლევაა.

თუმცა სამი ქულაც საქმეა. მერე რა, რომ ბოლო თამაშში ირანი გერმანიას ვერ მოუგებს.

**ილია ბაბუნაშვილი**

**აშშ**

18. კელერი

3. პოუპი 6. რეჯისი 5. დული

2. ჰეიდუკი 10. რამოსი 7. ვეგერლე 13. ჯოუნსი

21. რეინა

20. მაკბრაიდი 9. მური

10. დაეი 11. აზიზი

21. მინავადი 9. ესტილი 6. ბაგერი 2. მაჰდავიკია

20. ფაშაზადეჰი 4. ხაკპური 14. მოჰამადხანი 17. ზარინშეჰი

1. აბედზადეჰი

**ირანი**

შეცვლა: **რამოსი — 8. სტიუარტი (58), ვეგერლე — 14. რადოსავლევიჩი (58), აზიზი — 7. მანსურიანი (74), მოჰამადხანი — 5. პეირავანი (76), ზარინშეჰი — 3. საადავი (77), დული — 19. მეისონნიუვი (82)**

გაფრთხილება: **რეჯისი, მინავადი, ზარინ შეჰი**

მთავარი მსაჯი: **უ. მაიერი (შვეიცარია)**

### მატჩის შემდეგ

**ჯალალ ტალები**, ირანელთა მწვრთნელი: ღმერთის წყალობით გამარჯვება შევძელით. მადლობა ყველას ვინც გვქომაგობდა. მადლობა ხალხს, მადლობა ფეხბურთელებს, უპირველეს ყოვლისა კი ღმერთს. უკლებლივ ყველა ფეხბურთელი უზომოდ გახარებულია. დარწმუნებული ვარ მთელი ირანი ფეხზე დგას. ჩვენ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამერიკელთა ძლევით ირანმა ყველას დაანახა, რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერია. ახლა, შემდეგ შეხვედრაში გერმანელებთან ვეცდებით არ შევრცხვეთ. რაც შეეხება ამ თამაშს, საინტერესო და დაძაბული მატჩი იყო, ისეთი მსოფლიოს ჩემპიონატებს რომ ამშვენებს. ამერიკელებსაც და ჩვენც გამარჯვება გვეწადა, ვინც მეტი გაიღო საამისოდ იმან მოიგო. დიდი მადლობა ყველას. ამერიკელთა გამარჯვებაც ალალი იქნებოდა, თუმცა ჩვენ ძლიერად ვითამაშეთ და მათდა სამწუხაროდ გავიმარჯვეთ. ტექნიკურად ისინი გვჯობდნენ, გარკვეულწილად ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ. თუმცა, თუ გოლი ვერ გაიტანე ყველაფერი წყალში გადაგეყრება. ამერიკელებს სწორედ ასე დაემართათ. მადლობას ვუხდი ბატონ სიმპსონს, რადგან მისი შესანიშნავი გუნდის წყალობით მაყურებელმა ბრწყინვალე თამაში იხილა. თამაშმდელ დაძაბულობას შეხვედრისთვის არაფერი არ დაუკარგავს. თუ მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობს ლამაზად, მეორე კი შეხვედრის გაუფერულებას ცდილობს ეს ძალიან ცუდია. ჩვენდა სასიხარულოდ დღეს ასე არ მოხდა. მეტოქეები ლამაზად თამაშს ცდილობდნენ, აქედან კი რა გამოუვიდათ თქვენ განსაჯეთ. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა ღდევანდელი თამაშით ისიამოვნეს.

**სტივ სიმპსონი**, ამერიკელთა მწვრთნელი: მთელი ძალით ვთამაშობდით. ყველანაირად ვეცადეთ გაგვემარჯვა, და მიუხედავად იმისა რომ მართლაც კარგად ვირჯებოდით, დაცვაშიც და თავდასხმაშიც კარგად ვთამაშობდით და უამრავ საგოლე მომენტს ვქმნიდით, მაინც წავაგეთ. სამწუხაროა წაგება, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ამერიკის ნაკრებს დღეს ირანმა აჯობა. მეტოქე ძლიერი იყო და მოიგო კიდეც. პირველმა გოლმა გაგვტეხა, მცველები შეცდნენ, მეკარემ კი ვეღარაფერი იღონა. მიუხედავად მარცხისა, მეამაყება რომ ამერიკის ნაკრების მწვრთნელი ვარ. ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს გამარჯვებისთვის, იმაზე მეტი ვიდრე გააჩნდათ, სამწუხაროდ არ გაგვიმართლა. ვულოცავ ირანელებს მოგებას. მათ ძალიან კარგად ითამაშეს და გამარჯვებაც დაიმსახურეს.

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. მაკბრაიდმა ლამაზი თავური კი დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოარტყა.

17. ბაგერმა სახიფათო ჯარიმა უხეიროდ დაარტყა, კელერმა იყოჩაღა.

20. აზიზი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კელერმა წააქცია, პენალტს ჰგავდა.

33. რეინას დარტყმული ძელს მოხვდა.

40. ზარინშეჰმა მარჯვნიდან ჩააწოდა, ესტილმა კი თავურით ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა.

43. აზიზმა რეალური საგოლე მომენტი გააცუდა.

53. მაჰდავიკიამ მოჭრილი კარს ოდნავ ააცილა.

59. პარტნიორის უზუსტობა ბაგერმა გაიმეორა.

64. რეინას ნახევრადმაკრატელა მიზანში არ მოხვდა.

66. ჰეიდუკს აბედზადეჰმა აჯობა.

75. რეჯისის ლამაზად დარტყმული ისევ, მესამედ მოხვდა ძელს.

81. აბედზადეჰმა ჰაიდუკს ერთი მეტრიდან სასწაულად აუღო.

84. ამერიკელები ირანელთა კონტრშეტევაზე წამოეგნენ. მაჰდავიკიამ ცენტრის ხაზიდან კარამდე მარტოდ ირბინა, ეულად დამხვედრ კელერს კი მარჯვენა კუთხეში გაუტანა.

86. დაეიმ ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. მან ჯერ მეკარეს მოარტყა, მერე ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ ამერიკელებს რეჯისმა უშველა.

87. ამერიკელებმა ბურთი წაილეს და მაკბრაიდის თავური კარში ჩამდგარ ნაკისს ფეხებშუა გაუძვრა. ანგარიშში სხვაობა შემცირდა.

90. რეინამ ერთხელაც დაურტყა აბედზადეჰს, მაგრამ ისევ უშედეგოდ.



ამერიკელთა დაჟინებულ შეტევებს შედეგი ერთხელ მოჰყვა, არადა ორჯერ უნდოდათ

# მარლი საფლავში გადაბრუნდა

მატჩი №28. 21 ივნისი. პარიზი. პარკ დე პრენსი. 49 300 მაყურებელი

## არგენტინა 5:0 იამაიკა

1:0, 2:0 ორტეგა (32, 55); 3:0, 4:0, 5:0 ბატისტუტა (72, 79, 83პ)

იამაიკა კუნძულია. ცხოვრობს ხალხი თავისთვის, ცეკვავენ, მღერიან, მიირთმევენ ქოქოსის კაკალს, თუ, ცხადია, ხიდან ჩამოვარდა. ერთი სიტყვით, დროს ატარებენ. აი, ასეთი ხალხი მოხვდა საფრანგეთში, წარმოგიდგენიათ? — იამაიკელები მსოფლიოს ჩემპიონატზე?! ეს უდიდესი შეუსაბამობაა, ფაქტობრივად, ბუნების შეცდომაც კია.

ფიფამ რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა გადაწყვიტა, ფეხბურთი მსოფლიოში კიდევ უფრო განვითარდება, მეტ პოპულარობას მოიპოვებსო. აბა, რა გითხრათ? ამ თამაშს პოპულარულობა არასდროს აკლდა, დედამიწაზე ყოველთვის სპორტის უპირველეს სახეობად მიიჩნეოდა, აი, ფეხბურთის განვითარებაზე კი ის შემიძლია ვთქვა, რომ თამაში არათუ წინ წავა, ადგილზე გაჩერდება. რატომ? იმიტომ რომ არგენტინისა და მისი დარი გუნდები იამაიკელ და ამისთანა მეტოქეებთან ყოველთვის ცალი ფეხით მოიგებს, აქედან გამომდინარე სიახლეზე აღარც იფიქრებს. რა შემატა მსოფლიოს ჩემპიონატს აფრიკული, აზიური, ანაც კარიბეთის ზონის გუნდების დამატებამ? არაფერი, გოლების გარდა.

ძალიან ცდილობდნენ იამაიკელი ფეხბურთელები... თუმცა არც ვიცი, როგორ წამომცდა, იამაიკელები ფეხბურთელებად რომ მოვიხსენიე. ერთი სიტყვით, ძალიან ცდილობდნენ იამაიკელი დარდიმანდები ბურთი არგენტინელთა ტოლ-სწორად ეგორებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არა, კუნძულელებმა ფეხბურთის თამაში რომ იციან ამაში ეჭვს ნაღდად ვერ შევიტან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდებოდნენ, მაგრამ რაც შესარჩევ ტურნირს ეყო, იმით თავს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თუნდაც ჯგუფურ ტურნირში, ნამდვილად ვერ გაიტან. ეს იამაიკელებმა თავისდაუნებურად კიდევ ერთხელ დაამტკიცეს.

არგენტინამ 5:0 მოიგოო რომ გაიგებ კაცი, იფიქრებ, ბურთიც და მოედანიც პასარელას ბიჭების ყოფილაო. საქმე ასე სრულიადაც არ გახლდათ — ჯერ ერთი, ბურთი მსაჯის გახლდათ, მოედანი კი ფრანგების. ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვება კი იმან გამოიწვია, რომ ლომი კატას გადაეყარა. ამ შემთხვევაში კატამ ხეზე ასვლა ვერ მოასწრო.

— იამაიკა ძლიერი გუნდია, მეტად ტექნიკური. არამგონია, მათთან თამაში გაგვიადვილდეს. რაც არ უნდა იყოს, ისინიც ტექნიკური ფეხბურთის მოყვარულნი არიან — ვერ გეტყვით, ეს არგენტინელთა თავკაც დანიელ პასარელას ფანდი იყო, თუ სხვა რამ... ალბათ, პასარელა მეტოქის მოდუნებას შეეცადა.

საერთოდ, როგორც წესი, სამხრეთამერიკელებს, ამ შემთხვევაში კი არგენტინელებს, ტექნიკურ გუნდად მიიჩნევენ. ფინტები და ათასგვარი ცრუ მოძრაობები სამხრეთელებს მართლაც მოსდგამთ, მაგრამ თუ იამაიკელებთან ტექნიკური გუნდი თამაშობდა, არგენტინელთა შემხედვარე ამას ვერ იფიქრებდი.





გაბრიელ ბატისტუტამ პენალტი გაიტანა და ჰეთ თრიკიც შეასრულა

ერთადერთი კაცი, რომელიც ასეთი თამაშით გამოირჩეოდა, არიელ ორტეგა გახლდათ. სწორედ მან განაპირობა კიდეც თეთრ-ცისფერთა (არგენტინის მაისურის ფერებია) ზეობა. გარდა იმისა, რომ მან პირველი ორი გოლი გაიტანა, გაბრიელ ომარ ბატისტუტას ერთხელ საგოლედაც უპასა. გარდა ამისა, იმავე „ბატიგოლმა" (ბატისტუტას მეტსახელია) ჰეთ თრიკი სწორედ ორტეგას წაქცევისთვის დანიშნული პენალტის წყალობით შეასრულა. ერთი სიტყვით, არიელ ორტეგა არგენტინელთა სული და გული იყო.

არგენტინა იამაიკას რომ დაამარცხებდა, ამაში ეჭვი ალბათ იამაიკელი ქომაგების გარდა არავის ეპარებოდა. გასარკვევი ერთი რამ რჩებოდა — რა ანგარიშით იმარჯვებდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები? ვარიანტი საკმაოზე მეტი იყო. პასუხი ამ კითხვისთვის თავად არგენტინელებს უნდა გაეცათ და ასეც მოხდა — 5:0. ამაზე დიდი სხვაობით არგენტინელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთადერთხელ მოუგიათ — 1978 წელს, მათ პერუ გაანადგურეს 6:0, რაც შეეხება ხუთბურთიან ზეობას, არგენტინელებმა ბოლოჯერ ასეთ უპირატესობას შორეულ 1930 წელს მიაღწიეს — პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში მათ აშშ 6:1 გაანადგურეს.

საფრანგეთში ხუთბურთიანი უპირატესობით გამარჯვება არგენტინელებს ჰოლანდიამ დაასწრო. ნარინჯისფერთა გუნდმა საფეხბურთო თვალსაზრისით კიდევ ერთ პერიფერიას კორეას მოუგო, თუმცა სანამ გუს ჰიდინკის ბიჭები ამხელა სხვაობას მიაღწევდნენ, მათ საკმაო გარჯა დასჭირდათ. ახლაც ასე მოხდა — თამაშის დასაწყისი სულაც არ მოასწავებდა იმას, რომ არგენტინა იამაიკას დაფლეთდა, საბოლოოდ რაც მოხდა, კარგად ჩანს. გამოცდილებამ, კლასმა და საერთოდ სამართალმა თავისი გაიტანა იამაიკის ფეხბურთთა ნაკრები იქ აღმოჩნდა, სადაც წესით და რიგით უნდა ყოფილიყო, თუ სად, მოდით, ნუ დავაკონკრეტებთ.

არცთუ დაძაბული საათნახევრის მანძილზე ხუთი გოლი კი გავიდა, მაგრამ ყველას მაინც პირველი გოლი სჯობდა. ბატისტუტას დროული პასი საჯარიმოში შეჭრილმა ორტეგამ ჭვინტით დააბზრიალა და ბურთიც საკმაოდ ლამაზად ჩაეშვა იამაიკელთა კარში.

მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის პირველი ჰეთ თრიკის მხილველნიც გავხდით — ისევე, როგორც ოთხი წლის წინ, აშშ-ში ახლაც ერთ მატჩში სამი გოლის გატანა პირველად „ფიორენტინას" ტიფოზების მიერ „ბატიგოლად" წოდებულმა გაბრიელ ბატისტუტამ მოახერხა. მან სამი გოლი კი გაიტანა, მაგრამ საამისოდ დიდადაც არ გარჯილა — უბრალოდ, არგენტინელები იმდენ მომენტს ქმნიდნენ, ერთი-ორის ვერგამოყენება ბევრს არაფერს წყვეტდა. ასე რომ, ბატისტუტა თუ საგოლე სიტუაციებს აფუჭებდა, დიდადაც არ ნაღვლობდა. იცოდა, თავისას რომ გაიტანდა და...

არგენტინამ მეორე თამაშიც მოიგო და ახლა ხორვატებთან ერთად მერვედფინალისტებში ჩაეწერა. ბოლო შეხვედრა არგენტინელებს სწორედ მათთან აქვთ, რომელიც გადაწყვეტს კიდეც ჯგუფის გამარჯვებულის ბედს. სამხრეთაფრიკელთა და ექსიუგოსლაველთა თამაში ერთი შეხედვით საინტერესო უნდა გამოდგეს, თუმცა ასე თუ არ მოხდა, გასაკვირი სულაც არ იქნება.

და მაინც, საჭირო იყო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა?

**ლაშა გოდუაძე**

### მატჩის შემდეგ

**დანიელ პასარელა**, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ როგორც ნახეთ, მალე ყველაფერი დალაგდა და იოლადაც გავიმარჯვეთ. გამოყოფით არავის გამოვყოფდი, მთელმა გუნდმა დამაკმაყოფილებლად ითამაშა. ახლა დამშვიდების დრო აღარაა, რადგან ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის, ძირითადი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა და ამიტომაც ბევრი უნდა ვიმუშავოთ.

**რენე სიმოეში**, იამაიკელთა თავკაცი: რაღა თქმა უნდა, არგენტინის ნაკრები ჩვენზე ერთი თავით ძლიერი გუნდია. ბიჭები მაქსიმალურად ცდილობდნენ, გამოცდილი მოწინააღმდეგისთვის ღირსეული მეტოქეობა გაეწიათ, მაგრამ კლასი მაინც გადამწყვეტია, თანაც ფეხბურთელი გაგვიძევეს. ხორვატებთან თამაშის შემდეგაც ვთქვი, რომ მაქსიმალურად ვეცდებით გამოცდილების შეძენას და ასეც არის, არგენტინისნაირი გუნდისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. იაპონელებთან მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**გაბრიელ ბატისტუტა**, არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი: უფრო რთულ მატჩს ველოდი, მაგრამ პირველი გოლის შემდეგ მივხვდი, რომ გამარჯვებას ადვილად მივაღწევდით. მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ, თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, თუმცა ყველაფერი ჯერ წინაა. ახლა ძალების მობილიზება და დროის მაქსიმალურად გამოყენებაა საჭირო. რაც შეეხება ჩემს ბომბარდირობას, მართალია, ეს მეორეხარისხოვანი საკითხია, მაგრამ მაინც კარგი იქნება, თუ არგენტინა ჩემპიონი გახდება, მე კი საუკეთესო ბომბარდირი.





პირველ შეხვედრაში ნესტორ სენსინიმ (№6) ხელის თითი მოიტეხა, გუშინდელში კი ფეხიც იტკინა

---

1. როა

6. სენსინი 2. აიალა 3. შამოტი 5. ალმეიდა

22. ძანეტი

11. ვერონი 8. სიმეონე 7. ლოპესი

10. ორტეგა 9. ბატისტუტა

18. ბარტონი 6. სიმპსონი

15. გარდნერი 11. უაიტმორი 19. სინკლერი

3. დევისი

5. გუდისონი 2. მალკოლმი 20. პაუელი 22. ჰოლი

1. ბარეტი

იამაიკა

შეცვლა: **სენსინი — 14. ვივასი (25), ბარტონი — 7. კერჩილი (46), მალკოლმი — 10. ბოიდი (62), უაიტმორი — 16. ერლი (74), ლოპესი — 20. გალიარდო (75), სიმეონე — 4. პინედა (80)**

გაფრთხილება: **შამოტი, პაუელი, კერჩილი**

გაძევება: **პაუელი (45)**

მთავარი მსაჯი: **რ. პედერსენი (ნორვეგია)**

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. ბატისტუტა შედის იამაიკელთა მეკარე უორენ ბარეტთან, მაგრამ ბარეტი კუთხურზე იგერიებს. კუთხურიდან ჩაწოდებულს ისევ ბატისტუტა არტყამს თავს და აცილებს.

7. ჯარიმიდან არგენტინელები კარში კი არ არტყამენ, საჯარიმოში ვერონს აწვდიან პასს. ვერონის დარტყმას ბარეტი იგერიებს.

11. იამაიკელი სიმპსონი ძალიან მახვილი კუთხიდან ახლო კუთხეში არტყამს, მაგრამ არგენტინელთა მეკარე როა იგერიებს.

15. ორტეგა მარცხნიდან პასს აწვდის, მაგრამ კარში დარტყმა გამოუდის. ბარეტი ხაზზე იჭერს ბურთს.

16. ორტეგა აწვდის ძანეტის, ძანეტი ლოპესს, ლოპესის თავურს მეკარე იგერიებს.

29. შუა მოედანში ძანეტი დაშავდა, მაგრამ ორტეგა თანაგუნდელს ყურადღებას არ აქცევს. შედის საჯარიმოში და აცილებს.

32. სიმეონე აწვდის ვერონს, ვერონს ორტეგა შეჰყავს მეკარესთან პირისპირ, ორტეგა ტექნიკურად არტყამს და ანგარიშს ხსნის.

44. ლოპესი დრიბლინგის შემდეგ აწვდის ორტეგას, ორტე[illegible] ლოპესს, ლოპესი ბარეტს [illegible]ბა, მაგრამ ძალიან მახვილი კუთხე რჩება და პასსღა აწვდის, ისიც მეტოქეს.

45. ორტეგას დერილ პაუელი ზურგს უკნიდან აქცევს. მსაჯი პაუელს აძევებს მოედნიდან.

55. ორტეგა აწვდის ლოპესს, ლოპესი უბრუნებს, ორ მეტოქეს შორის ძვრება და ანგარიშს ზრდის.

58. იამაიკელი უაიტმორი საჯარიმოს გარედან აცილებს მიზანს.

65. ბატისტუტას ორტეგა შეჰყავს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ორტეგა მცირე მანძილით აცილებს.

72. ორტეგა აწვდის ბატისტუტას, იგი ერთი ნაბიჯით შედის საჯარიმოში, არტყამს და გოლი გააქვს.

79. ბატისტუტა სიღრმიდან შეჰყავთ საჯარიმოში. იგი არტყამს და ანგარიშს ზრდის.

83. ორტეგას წაქცევისთვის ინიშნება პენალტი. ბატისტუტა ჰეთ-თრიკს ასრულებს.

85. ჯარიმიდან ჩაკიდებულ ბურ[illegible] იამაიკელი გარდნერი თავურით ცოტათი აცილებს მიზანს.

# მგლებთან მოცეკვავენი

მატჩი №29. 21 ივნისი. ლანსი. სტად ფელიქს ბოლერი. 41 275 მაყურებელი

## გერმანია 2:2 იუგოსლავია

0:1 სტანკოვიჩი (13); 0:2 სტოიკოვიჩი (54); 1:2 ტარნატი (74); 2:2 ბირჰოფი (79)

როგორც იქნა ვნახეთ ის, რისთვისაც ველით ხოლმე მსოფლიო ჩემპიონატს. როგორც იქნა, ორმა გუნდმა ნამდვილი საფეხბურთო სანახაობა გაითამაშა ლანსის „ფელიქს ბოლერზე“. ამისათვის თერთმეტდღიანი ლოდინი შეიქნა საჭირო, მაგრამ ლოდინი გამართლებულია. გერმანია-იუგოსლავიის მატჩი ყველაზე საინტერესო, ყველაზე დაძაბული, ყველაზე კორექტული იყო. ეს გახლდათ



ველიკო პეტროვიჩმა მხცოვანი იურგენ კოლერი დატანჯა

ნამდვილი ფეხბურთი. უფრო სწორად, ბატონი ფეხბურთი პირდაპირ საფრანგეთიდან.

იუგოსლავიის ნაკრები ისე გამოვიდა მოედანზე, რომ კაცი თავიდანვე მიხვდებოდა — მას ძალუძდა ყოფილიყო ისეთი თამამი და მოქნილი, რომ მსოფლიო ფეხბურთის მგლებთან ეცეკვა და ამ ცეკვით თავგზა დაებნია მათთვის. ასე იყო და ასეც დაიწყო. სლავები სჯობდნენ მეტოქეს, უფრო ტექნიკურნი, უფრო ანთებულნი ჩანდნენ და მათ თამაშს ხომ ისედაც ყოველთვის ახლდა გამომგონებლობა და დახვეწილი სტილი?

გერმანელები კი პირიქით, ლოგინიდან ძალით წამოყრილებს ჰგავდნენ. მათი თამაში დუნე და თითქოს იძულებითი იყო.

მალევე ცხადი შეიქნა, რომ ჩვეულებრივ გაუვალ მეკარე კეპკეს თითქოს დიმედროლის ხუთი აბი გადაეყლაპა. სტოიკოვიჩისა და მიატოვიჩის სარდლობა საუცხოო და კარგი საცქერი იყო. იუგოსლავიელთაგან წარამარა ვხედავდით ყრმა ოგნიენოვიჩს, კოვაჩევიჩს და მიხაილოვიჩს. თამაში თითქოს თანაბარიც კი იყო, მაგრამ სიმწვავე მხოლოდ სლავების მხრიდან შეიგრძნობოდა. არ იყო საგოლე მომენტები, მაგრამ იყო სიმწვავე. მიოლერი თითქოს ცდილობდა მოწინააღმდეგის შეწუხებას და იერემისიც საჯარიმოდან საჯარიმომდე დარბოდა.

სწორედ ამ სირბილმა აღმოაჩინა მიუნხენელი ფეხბურთელი თავის კარის ახლოს, მაშინ, როცა მიატოვიჩმა მარცხენა ფრთიდან დაკიდა მეკარის საჯარიმოს წინ. ბურთს სტანკოვიჩმა სულ ტყუილად გაუქნია ფეხი და კეპკეც ტყუილად გადახტა სტანკოვიჩის სავარაუდო დარტყმის მიმართულებით. მას ბარძაყზე მოხვდა ბურთი და შორეული ძელისკენ გაქანდა. იქით კი მიჰქროდა იერემისი, რომელსაც ძელს მოხვედრილი ბურთი მოხვდა და კარის ხაზს გადასცდა.

დაეძინა კეპკეს მეორე გოლზეც, როცა მარჯვენა ფლანგიდან გაჭრილი ბურთი იღლიის ქვეშ გაუძვრა და კარის ხაზთან დადარაჯებული სტოიკოვიჩის ლუკმა გახდა. მაგრამ ეს მეორე ტაიმში იყო.

ამ დროს უკვე მოედანზე გახლდათ გერმანელთა ოდინდელი კაპიტანი ლოთარ მათეუსი. მათეუსის გუნდი კი აგებდა, მაგრამ მხცოვანი ლოთარი თავის რეკორდსმენობას აღნიშნავდა სტატისტიკოსთა დავთარში. აქამდე 22 მატჩი მსოფლიო ჩემპიონატზე არავის ჩაეტარებინა. ეს შეხვედრა სწორედ 22-ე იყო მათეუსისთვის, მაგრამ, წყალმა და მეწყერმა წაიღოს ისეთი იუბილე, რომელიც შენი გუნდის დამარცხებით აღინიშნება.

შორეული 1982 წლიდან ირიცხება მათეუსი გერმანელთა სამსოფლიოჩემპიონატო სიებში და 16 წელიწადში მოედანზე მყოფმა მარცხი მხოლოდ სამჯერ იგემა, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ. ისევე, როგორც შორეულ 1982 წელს, მათეუსი ახლაც შეცვლაზე შემოვიდა.

ტაიმნახევრის განმავლობაში გერმანელები ნაღდად სალანძღავნი იყვნენ. იმდენად უგერგილოდ და უაზროდ ირჯებოდნენ, რომ კაცი იფიქრებდა, ამ თამაშის დამთავრება ფორმალობა თუღააო. მაგრამ გერმანია ის გუნდი არაა, რომ როცა დამარცხება არ სჭირდება, ოფლისღვრას მოერიდოს. დიახ, ყოფილა ასე, რომ გერმანიას მარცხი ხელს აძლევდა. ყოფილა 1954 წელსაც და 1974 წელსაც. ულფ კირსტენის გამოჩენა გერმანელთა მკვდარი თავდასხმის გამოცოცხლებას უნდა წაღგომოდა. კლინსმანი კი ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი კლინსმანი იყო. ბირჰოფსაც ერთხელ ვერ გაუჭრეს ბურთი ისე, რომ რაც იცის, ხუთიანზე აღესრულებინა. მიოლერი ადრევე შეიცვალა და სწორიც იყო.

და იუგოსლავია?

ძალიან კარგია, საამაყოა, როცა იმგვარად ეცეკვები მგელს, რომ თავბრუს დაახვევ. მაგრამ მგელთან ცეკვას ერთი თვისება აქვს, იმგვარად უნდა მოახერხო ეს საქმე, რომ მგელი ვერ გამოერკვეს. თუ გამოერკვა და კოჭში გწვდება. მერე კი შენი საქმე წასულია. იუგოსლავიის სიმპატიურ გუნდს კი აშკარად დაავიწყდა ეს. დაავიწყდა, თუ ვერ შეძლო, ეს ალბათ კიდევ გასარკვევია, მაგრამ თამაშის უდავოდ შთამბეჭდავი წუთები სწორედ მაშინ ჩამოდგა, როცა გერმანიამ სლავთა გვემა დაიწყო.

პირველი საპასუხო გოლიც რიკოშეტით გავიდა. შეცვლაზე შემოსული ტარნატის მიერ დარტყმულ ჯარიმას მიხაილოვიჩი მუხლით დაუხვდა და მარჯვნივ გადამხტარმა კრალმა ბურთი კარის მარცხენა კუთხეში დაინახა. მერე იყო და ბირჰოფსაც მოუხერხეს ის, რაც ასე კარგად იცის. ზუსტი თავური და 2:2. იუგოსლავიის ნაკრები კი თითქოს აღარც არსებობდა. სანტრაჩის ბიჭებს გადაადგილებაც უჭირდათ და გერმანელებზე ერთიორად დაღლილნიც ჩანდნენ.

ლოთარ მათეუსს კი აუცილებლად გახსენდებოდა: 1986 წელი. „აცტეკა“. ფინალი და გერმანელთა მიერ საუცხოოდ შემოტრიალებული თამაში. მაშინაც ზუსტად ასე იყო 0:2-დან, 2:2. მაშინ მათეუსი მარადონას სდევდა თან და მარადონამ სულ ბოლო წამს მოახერხა და დაუჯერებელი პასი გაუჭრა ბურუჩაგას. მაგრამ ლოთარს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო იუგოსლავიელთა შორის მარადონა ნამდვილად არ შეინიშნებოდა.

ასე რომ, ფრე.

და ალბათ ეს იყო ჩემპიონატის ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი. ძლივს გამოჩნდა ერთმანეთს დაჯახებული ორი ძლიერი გუნდი. ეს ყოველმხრივ კარგი და საინტერესო შეხვედრა გამოდგა. მსაჯიც კი, თითქოს საგანგებოდ საუკეთესო შეერჩიათ. დანიელმა რეფერიმ ნილსენმა ერთადერთხელ ასწია ყვითელი ბარათი და ეს ბარათიც მათეუსს არ ერგო? მსაჯმა საუცხოოდ შეიგრძნო თამაშის არსი და მისთვის ხელი არ შეუშლია. ნილსენი მაშინაც არ აღელვებულა, როცა იერემისი ჩხუბის იშტაზე მოვიდა და მის დასაწყნარებლად ბერტი ფოგთსიც კი შემოვარდა მოედანზე. ამით თამაშს არაფერი დაკლებია და არც ფეხბურთის განვითარება დამდგარა ეჭვქვეშ.

თუმცა, მგლებთან ცეკვასაც კარგად უნდა ცოდნა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია | | | |
| | 1. კიოპკე | | |
| 2. ვიორნსი | 6. ტონი | 4. კოლერი | 17. ციგე |
| 3. ჰაინრიხი | 16. ჰამანი | 13. იერემისი | |
| | 7. მიოლერი | | |
| 20. ბირჰოფი | 18. კლინსმანი | | |
| | 9. მიატოვიჩი | | |
| 22. კოვაჩევიჩი | | | |
| | 10. სტოიკოვიჩი | | |
| 7. იუგოვიჩი | 4. იოკანოვიჩი | 20. სტანკოვიჩი | |
| 16. პეტროვიჩი | 11. მიჰაილოვიჩი | 13. კომლიენოვიჩი | |
| | 3. ჯოროვიჩი | | |
| | 1. კრალი | | |
| იუგოსლავია | | | |

შეცვლა: ჰამანი — 8. მათეუსი (46), კოვაჩევიჩი — 21. ოგნიენოვიჩი (58), მიოლერი — 9. კირსტენი (58), ციგე — 21. ტარნატი (67), სტანკოვიჩი — 18. გოვედარიცა (68), პეტროვიჩი — 19. სტევიჩი (75)

გაფრთხილება: მათეუსი

მთავარი მსაჯი: კ. ნილსენი (დანია)

### მატჩის შემდეგ

**ლოთარ მათეუსი:** ეს შეხვედრა ისე წარიმართა, ვერაფრით ვიფიქრებდი, ანგარიშის გათანაბრებას თუ შევძლებდით. მეტოქე გუნდის სიძლიერე კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ასე ძლიერად თუ ითამაშებდნენ, ამას არ მოველოდით. გულახდილად გეტყვით, უმძლავრეს იუგოსლავიის ნაკრებთან ორი ბურთის გაქვითვა მართლაც საგმირო საქმეა და ჩემი გუნდის წევრებს თამამად შეუძლიათ იამაყონ. იუგოსლავიელები უაღრესად ტექნიკურნი არიან და ფიზიკურადაც ერთობ მომზადებულნი. მათთან თამაში მეტად რთული გამოდგა. საერთოდ იუგოსლავია ყოველთვის მდიდარი იყო ვარსკვლავებით და უმაღლესი დონის შემსრულებლების ნაკლებობას არც საფრანგეთში განიცდის. რაც შეეხება მათ მიერ ირანის ნაკრებთან საკმაოდ უფერულად ჩატარებულ შეხვედრას, ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. იმ თამაშს თვალს ვადევნებდი და კარგად შევამჩნიე, რომ იუგები ძალებს ზოგავდნენ. მათი ნამდვილი შესაძლებლობები დღეს გამოჩნდა, რადგან გერმანიის წინააღმდეგ სათამაშოდ ყველა საგანგებოდ ემზადება. პირველ ნახევარში არც თუ საუკეთესოდ ვირჯებოდით. მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი თამაშის გამო გოლიც გავუშვით და არც თავდასხმაში აგვეწყო საქმე. ფოგთსმა შესვენებამდე ათი წუთით ადრე გამაფრთხილა, რომ მეორე ტაიმში ჩემს დაყენებას აპირებდა. რა თქმა უნდა, მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უზომოდ მესიამოვნა, მაგრამ იმავდროულად უნდა ავღნიშნო, რომ ისე ვერ გავისარჯე, როგორც ამას თავად ვისურვებდი. მწვრთნელმა ჩემთვის საკმაოდ უჩვეულო პოზიციაზე მიმიჩინა ადგილი და, ცოტა არ იყოს, შეგუება გამიჭირდა. საერთოდ ასეთი მნიშვნელოვანი და დაძაბული მატჩის მსვლელობისას შეცვლაზე შესვლას ნაჩვევი არა ვარ. მაგრამ, ვფიქრობ, მაინც წარმატებით ჩავერთე თამაშში და საერთო სურათიდან ამოვარდნილი არ ვყოფილვარ.

**სლობოდან სანტრაჩი:** იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ცოტა არ იყოს, მიჭირს ჩემი მდგომარეობის ზუსტად გადმოცემა, რადგან ერთის მხრივ უზომოდ ბედნიერი ვარ, მაგრამ სინანულის გრძნობაც არ მშორდება. გუნდისთვის ეს შედეგი მართლაც მშვენიერია, რადგან გერმანიის ნაკრებთან ასეთ თამაშზე ბევრი გუნდი ვერც ოცნებებს, თუმცა დამეთანხმებით, რომ თითქმის მოპოვებული გამარჯვება ხელიდან არ უნდა გაგვეშვა. ვიცოდი, რომ 2:0-ზე მეტოქე გააფთრებით შემოგვიტევდა, მაგრამ ფეხბურთელებმა მაინც ვერაფერი მოიმოქმედეს. მთლიანობაში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია. ის კი არა, პირველ ნახევარში უპირატესობასაც ვფლობდით და მეტოქეს ერთი ნორმალური შეტევის განხორციელების საშუალებაც კი არ მივეცით. მე კარგად ვიცი ჩემი ფეხბურთელების დადებითი და უარყოფითი მხარეები და ვგრძნობ, რომ მათ შეუძლიათ, კიდევ მოუმატონ. პირველი შეხვედრა ირანელების წინააღმდეგ უფერულად წარვმართეთ, მაგრამ ამის მიზეზი სასტარტო მღელვარება გახლდათ. ამიტომ ფეხბურთელებისადმი დიდი პრეტენზიები არ გამომითქვამს და მათაც მოთმინების საფასურად დღეს კარგი თამაში მომიძღვნეს. დარწმუნებული ვარ, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს კიდევ უფრო ძლიერად ჩავატარებთ და ლამაზ გამარჯვებასაც ვიზეიმებთ.



REUTERS

ცოცხალ კედელში ჩამდგარ კლინსმანს მიხაილოვიჩის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ფეხში მოხვდა. ეს იყო ის, რამაც კლინსმანი გაგვახსენა ამ მატჩში

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი: სტოიკოვიჩის ძლიერად დარტყმული კარს ოდნავ ასცდა.
13. მიატოვიჩმა საჯარიმოში ჩააწოდა, კარიდან კიოპკე გამოვარდა. სტანკოვიჩი დასწრებაზე თამაშს ცდილობდა, თუმცა ამაოდ. ბურთს ვერცერთი ვერ შეეხო. ბურთი ძელს მოხვდა, იერემისს მკერდზე და ანგარიში გაიხსნა.
21. მიოლერის საკმაოდ შორიდან შესრულებულმა ჯარიმამ კარს ზემოდან გადაუარა.
27. პეტროვიჩის დარტყმული კიოპკემ მოიგერია.
33. სტოიკოვიჩის პასით კოვაჩევიჩი მეკარის წინ მარტო აღმოჩნდა. კიოპკემ ამ ეპიზოდშიც იმარჯვა და კუთხურიდან ჩაწოდებულიც გააუვნებელყო.
42. ამჯერად იუგოვიჩს აჯობა კიოპკემ.
45. კლინსმანს მცველმა დაასწრო, თორემ ანგარიში პირველსავე ტაიმში გათანაბრდებოდა.
54. კოვაჩევიჩს იოკანოვიჩმა უპასა, მანაც მარჯვნიდან დაბალი ჩააწოდა, კიოპკე თითქოს დაეუფლა ბურთს, მაგრამ ქვეშ გაუძვრა და იქვე მდგარმა სტოიკოვიჩმა ერთხელაც შეაგდო.
63. ბირჰოფმა კირსტენს გადაუგდო, რომლის შეუჩერებლად დარტყმულიც კარს ოდნავ ასცდა.
68. ტარნატის მარცხენა ფლანგიდან დარტყმული მიჰაილოვიჩს მუხლზე მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და გოლიც გავიდა.
74. კირსტენმა ბურთს თავი კარგად ვერ დაუხვედრა. ორი მეტრიდან მცველის დახმარებით ბურთი კუთხურზე გადაგორდა. იქიდან მოწოდებულს კი ბირჰოფმა თავი შეაგება. ბურთი კრალის თითების შემდეგ ხარიხამ აისხლიტა, მერე კლინსმანი ცდილობდა დამატებას, მაგრამ მცველმა დაასწრო.
79. ნაღდი გერმანული ხასიათის გამოვლინება. ტონმა მორიგი კუთხური ჩააწოდა. ბირჰოფი ყველაზე მაღლა ახტა და ანგარიში თავურით გაათანაბრა.

მატჩი №31. კოლუმბია — ტუნისი. მონპელიე. 19[30]

# როცა მოგება სიცოცხლეზე მეტია...

ჩემპიონატის დაწყებამდე რიგითი გულშემატკივარისთვის კოლუმბია — ტუნისის მატჩის სავარაუდო შედეგი რომ გეკითხათ, ალბათ, ათიდან ცხრა სამხრეთამერიკელების გამარჯვებას იწინასწარმეტყველებდა. ძნელი იყო, ამ მოსაზრებას არ დათანხმებოდი, რადგან მართალია, კოლუმბიის ნაკრები ბოლო დროს არცთუ ძლიერად ასპარეზობდა და საფრანგეთშიც უპირველეს ფავორიტებს შორის არავინ მოიხსენიებს, მაგრამ ის, რომ ერნან გომესის გუნდი ტუნისზე ძლიერია, უეჭველია. თუმცა სადღეისოდ სიტუაცია ოდნავ შეიცვალა. მას შემდეგ, რაც უმსგავსო საქციელისთვის კოლუმბიელთა ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ფაუსტინო ასპრილია საფრანგეთიდან მიაბრძანეს, ამ გუნდის ერთგული ქომაგნი დიდად შეშფოთებული ხვდებიან ამ თამაშს და ათასგვარი უსიამოვნო კითხვა უჩნდებათ. შეძლებს კი გუნდი ასპრილიას მოკვეთის შემდეგ ფსიქოლოგიურად მობილიზებას და შეკავშირებას? მოახერხებს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გომესი, ბიჭებს რამდენიმე დღის წინანდელი აურზაური დაავიწყოს და კვლავ საბრძოლოდ განაწყოს? ვნახოთ. ეს, ალბათ, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ გუნდის ვეტერანის კარლოს ვალდერამას სიტყვებს თუ დავუჯერებთ, კოლუმბიელები ჭორიკანა ფაუსტინოს გარეშე კიდევ უფრო უკეთესად გაირჯებიან და ყველაფერს გააკეთებენ, რათა დღევანდელ მატჩში გამარჯვება მოიპოვონ.

უეჭველი მოგება — აი, რა არის დღეს მეტოქეთა მთავარი და ერთადერთი მიზანი. ჯგუფური ტურნირის პირველი შეხვედრები ორივე ნაკრებმა დათმო. გახსოვთ, ალბათ, კოლუმბიელებმა რუმინელებთან 0:1 წააგეს, ხოლო აფრიკელები არისტოკრატიულად მოთამაშე ინგლისის ნაკრებმა სრულიად იოლად 2:0 დაამარცხა. სწორედ ამიტომაა, რომ ამ საღამოს უკან არც ერთი გუნდი არ დაიხევს. უბრალოდ, თავს ამის ნებას არ მისცემენ, თუ, რა თქმა უნდა, მერვედფინალში გასვლა სურთ. სამხრეთაფრიკელები დღევანდელი შეხვედრის წინ აცხადებდნენ, რომ არც ფრეზე არიან ყაბულს, რადგან ბოლო მატჩში ინგლისელებთან შებმა უწევთ და საეჭვოა, იქ რაიმე წარმატებას მიაღწიონ.

— დღევანდელი შეხვედრა ჩვენთვის ერთობ ძნელი იქნება, რადგან კოლუმბიელი გულშემატკივრები მხოლოდ გამარჯვებას ელიან და ეს ფეხბურთელებს საშინლად თრგუნავს. თუმცა კოლუმბიას უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამი ქულა ავიღოთ. სხვა შემთხვევაში, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატის ნაადრევად დატოვება მოგვიწევს, რადგან ჯგუფში ბოლო თამაში ინგლისელებთან გვაქვს და არა მგონია, ბრიტანელებმა ადვილად რაიმე დაგვითმონ — თქვა 36 წლის კარლოს ვალდერამამ, რომელსაც ამ საღამოს თავის ძველ ნაცნობთან შეყრა ელის. რამდენიმე წლის წინ თამაშობდა კოლუმბიელი საფრანგეთის პირველი დივიზიონის „მონპელიეში" სწევდა ჭაპანს, კლუბის მთავარი მწვრთნელი კი ტუნისელთა დღევანდელი დამრიგებელი ჰენრი კასპერჩაკი გახლდათ. ასე რომ, ერთ დროს მოკავშირეები დღეს „ლა მოსანის" სტადიონზე ხვდებიან ერთმანეთს. ოღონდ ახლა სულ სხვა ვითარებაში — ისინი საფრანგეთში ერთმანეთის დაუნდობელი მტრები არიან და ძველი მეგობრობა ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში არავის ემახსოვრება.

— ვალდერამასთან ყოველთვის საუკეთესო დამოკიდებულება მქონდა და უდიდეს პატივსაც ვცემ. მაგრამ ახლა, როდესაც ორ მოქიშპე მხარეს წარმოვადგენთ, მინდორზე ძველი ურთიერთობების გახსენება არას გვარგებს. თამაშის დროს ჩვენ ერთმანეთის მტრები ვიქნებით, თუმცა ეს არავიოარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ცხოვრებაში კოლუმბიელისადმი ჩემი კეთილკეთილგანწყობა შეიცვლება — ამბობს ტუნისელთა თავკაცი კასპერჩაკი, რომელიც „მონპელიეს" 1990-92 წლებში წვრთნიდა.

ფაუსტინო ასპრილიას დისკვალიფიკაციის შემდეგ ვალდესამ კოლუმბიელთა მთავარი იმედია და ერნან გომესიც სწორედ ვეტერან ნახევარმცველზე აგებს მთელ თამაშს.

— ტუნისის გუნდმა პირველი შეხვედრა ინგლისის წინააღმდეგ ურიგოდ როდი ჩაატარა. მათ აჩვენეს, რომ ფეხბურთის თამაში იციან და თუ გაუმართლათ, ბევრის გამწარებაც ძალუძთ. ბრიტანელებთან მატჩში კარგად გამოიკვეთა ტაქტიკა, რომლითაც ეს აფრიკული გუნდი ხელმძღვანელობს. კასპერჩიკის ქვეშევრდომები გუნდური თამაშის მიმდევრები არიან. ისინი მეტოქის ყველაზე სახიფათო ფეხბურთელებს პერსონალურ მეურვეს უყენებენ და ამგვარად ცდილობენ, გასაქანი არ მისცენ. ამიტომ ჩვენ საგანგებო ტაქტიკა უნდა შევარჩიოთ, რათა ტუნისელთა წინააღმდეგობა დავძლიოთ. ამისთვის კი მობილურად გარჯა გვმართებს, რაშიც კარლოს ვალდერამაზე უკეთ ვერავინ დაგვეხმარება. მე მისი დიდი იმედი მაქვს და ვფიქრობ, თავისი უზადო გადაცემებით იგი დიდ პრობლემებს შეუქმნის მეტოქის დაცვას — ერნან გომესი შესაძლოა, არც ცდებოდეს, რადგან ვალდერამასებრი ტექნიკითა და პასის კულტურით მსოფლიოს ფეხბურთში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

წინასასაფრანგეთო მზადების ციკლს თუ გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება — კოლუმბიაც და ტუნისიც მატჩებს მეტად არათანაბრად ატარებდნენ. წარმატებით ნათამაშევი მატჩების სერიას აშკარად ჩაგდებული შეხვედრები ცვლის, რის გამოც ამ გუნდების მიერ ჩატარებული თამაშების წინასწარმეტყველება თითქმის წარმოუდგენელია. თუმცა სამხრეთამერიკელთა გაცილებით დიდმა გამოცდილებამ შეიძლება ამ საღამოს სხვაფრივ თითქმის ერთი დონის გუნდების დაპირისპირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

— კოლუმბიელები მეტად ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, რომელიც მთლიანად შემსრულებლების იმპროვიზაციის უნარზეა დაფუძნებული. მათ დიდი შეხვედრების მოგება ძალუძთ, მაგრამ სხვა სამხრეთამერიკული გუნდებისგან განსხვავებით, საკმაოდ არასტაბილური გამოსვლა სჩვევიათ. თუმცა ჩვენ ამან არ უნდა დაგვამშვიდოს. კი, მოკვეთილი ასპრილია მათ ძლიერ დააკლდებათ, მაგრამ ეს შეიძლება კოლუმბიელთა გუნდური თამაშისთვის უკეთესიც იყოს. დარწმუნებული ვარ, გომესის ბიჭები უფრო შეკრულ ნაკრებად წარმოგვიდგებიან და მათი ძლევა უაღრესად ძნელი იქნება — ამბობს კასპერჩაკი, რომელიც თავის დროზე პოლონეთის ნაკრების ღირსებას იცავდა და საკმაოდ წარმატებითაც.

გომესი, რომელიც ტუნისელთა მწვრთნელის მსგავსად ამ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თავისი პოსტის დატოვებას აპირებს, სადღეისოდ ასპრილიას არყოფნას არცთუ დიდ დანაკლისად მიიჩნევს:

— ჩემი გუნდი ისე მობილიზებულია, როგორ არასდროს. ბიჭებს ერთმანეთის სჯერათ და ფაუსტინოს არყოფნაზე საერთოდ აღარ ფიქრობენ. მოკლედ, სადღეისოდ არანაირი პრობლემა არ გვაწუხებს.

მეტოქე გუნდების სასტარტო შემადგენლობებში წინა მატჩებთან შედარებით, რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი. კოლუმბიელებს თავდასხმაში გაძევებული ასპრილიას ნაცვლად ენტონი დე ავილა ეყოლებათ, რომელიც სავარაუდოდ ადოლფო ვალენსიას შეუწყვილდება. ვალენსიას შემადგენლობაში დაყენება იმითაა გამოწვეული, რომ კიდევ ერთი ფორვარდი ვიქტორ არისტისაბალი ცუდ ფორმაში იმყოფება და გომესმა ამჯერად მასზე უარის თქმა ამჯობინა. ნახევარდაცვაში ტრავმირებულ მაურიციო სერნას, ალბათ, ხორხე ბოლანო შეცვლის, რომლისთვისაც ტუნისელებთან მატჩში სადებიუტო იქნება ნაკრებში.

ტუნისელთა რიგებში ერთ სიახლეს უნდა ველოდეთ. გახსოვთ ალბათ, გერმანიის „ფრაიბურგში" მოთამაშე გამთამაშებელი ზუბეირ ბეია, რომელსაც კასპერჩაკთან მეტად დაძაბული ურთიერთობა აქვს, ინგლისელებთან შეხვედრაში მხოლოდ შეცვლაზე შევიდა. დღეს კი სავარაუდოდ ბეია სასტარტო შემადგენლობაში გამოვა.

— ჩემი გუნდის ტაქტიკურ წყობაში დიდ ცვლილებებს შევიტან. ინგლისელებთან ფეხბურთელებმა დაკისრებულ მოვალეობებს თავი ვერ გაართვეს და მეტოქეს დიდი სივრცეები დაუთმეს. ეს კი დაუშვებელია და ამის აღმოსაფხვრელად დღეს რამდენიმე გადაადგილებას მოვახდენ — აცხადებს კასპერჩაკი.

ტუნისელთა მარცხენა ნახევარმცველი, ჟოზე კლეიტონი რომელიც ბრაზილიაშია დაბადებული და აფრიკული ქვეყნის მოქალაქეობა ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მიიღო, თურმე ძალიან დიდ პატივს სცემს კოლუმბიის ნაკრებს, განსაკუთრებით კი მის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველ ფრედი რინკონს.

— მე კარგად ვიცნობ ჩვენი დღევანდელი მეტოქის თამაშს. ისინი საუცხოოდ ფლობენ ბურთს და ხანდახან თვით ბრაზილიელებს მაგონებენ. ამიტომ ჩვენ უდიდესი სიფრთხილე გვმართებს — ამბობს კლეიტონი.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ თამაშს და ვნახოთ, რომელ გუნდს გაუღიმებს ბედი.



ასპრილიას მოკვეთის შემდეგ კოლუმბიელებს იმედად ვალდერამა დარჩათ

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**კოლუმბია:** მონდრაგონი, სანტა, ბერმუდესი, პალასიოსი, კაბრერა, ლოსანო, ბოლანო, ვალდერამა, რინკონი, ვალენსია, დე ავილა

**ტუნისი:** ელ კაერი, კლეიტონი, ბადრა, ტრაბელსი, ტაბეტი, გოდბენი, ჩიჰი, სუაპა, ბეია, სელიმი, ბენ ინეში

**ირაკლი ხმელიძე**

# დღეს ფავორიტი რუმინეთი ყოფილა

მატჩი №32. რუმინეთი — ინგლისი. ტულუზი. 23[00]

ინგლისი რუმინელ კობრას უნდა უფრთხოდესო, წერენ უცხოელი ჟურნალისტები. კობრა, მოგეხსენებათ, ადრიან ილიეა, ბოლო დროს ამობრწყინებული ვარსკვლავი ესპანეთის „ვალენსიიდან". ილიე 24 წლისაა, 177 სანტიმეტრია და რუმინელთა ეროვნულ გუნდში 22 თამაში აქვს ჩატარებული. მსოფლიოს პირველობის პირველ შეხვედრაში ილიე-კობრამ კოლუმბიას გოლი გაუტანა.




ინგლისელ პოლ სქოულზს გლობუსი დაუჭერია და კობრას ეძებს

გეხსომებათ კობრას გოლი. რუმინელმა უზადოდ შეასრულა საჯარიმოს მარცხენა კიდიდან საგოლე დარტყმა. განსაკუთრებით ლამაზი სანახავი ფეხის გამოცვლა იყო. ძალიან სწრაფად შეცვალა კობრამ ფეხი, ბურთისთვის ერთი უნდა დაერტყა, მაგრამ მოახერხა და მყისიერად მეორე, უფრო მომარჯვებულად დაარტყა.

კობრა ოსტატია, მაგრამ მეტოქე კოლუმბია აღარ არის, მას ინგლისის ნაკრები ჰქვია. კოლუმბია სამხრეთულად ტექნიკური, მაგრამ სამხრეთულადვე შეუთამაშებელი გუნდი იყო. მისი ბებერი გამთამაშებელი კარლოს ვალდერამა მოედნის ცენტრს არ გასცდენია, უსტაბაშივით იდგა და ხელში კრიალოსანიც რომ სჭეროდა, ჩემმა მზემ, დახატული იქნებოდა. მეორე კოლუმბიელ ვარსკვლავს (თანამედროვე ფეხბურთში ყველას ვარსკვლავი ჰქვია), ფაუსტინო ასპრილიას ამ დროს, თურმე ნერვები ეშლებოდა.

ინგლისის ნაკრებში ნერვები არავის მოეშლება, არც უსტაბაში ეყოლება ჰოდლს მოედნის ცენტრში. ინგლისში ასეთები არ გადის. შეიძლება გაზა იყო და თითქმის თანატოლმა მწვრთნელმა გითხრას არ მჭირდები, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიმყავხარო. ინგლისის გუნდში ყველა დარბის, იბრძვის და რაც მთავარია, არის საოცარი სათამაშო ერთსულოვნება. ჯერჯერობით ინგლისმა ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დასტოვა. ხომ გახსოვთ, როგორ ითამაშა ტუნისთან? საათნახევრის განმავლობაში ტემპი ათითხუთმეტი წუთით ასწია, თავისი გააკეთა და ისევ გააგორა ბურთი.

მოკლედ, კობრა კობრად და რუმინეთს ძლიერ გუნდთან უწევს თამაში, თან ორივე მეტოქეს სამ-სამი ქულა აქვს და დღეს პირველი ადგილისთვის ეჭიდებიან ერთმანეთს.

და მაინც, კობრა თვლის, რომ იცის ინგლისელთა წამალი. იგი ამბობს: „მართალია ინგლისელი ფეხბურთელები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან, მაგრამ ჩვენ ტექნიკური და ტაქტიკური მარაგი გვაქვს. მათ თუ გამოვიყენებთ, მოვიგებთ".

რუმინელებზე ამბობენ, მოედანზე იმავე შემადგენლობით გავლენ, რომლითაც კოლუმბიას ებრძოდნენო. მართალია, კოლუმბიელებთან შეხვედრაში ექვსმა ფეხბურთელმა რაღაც იტკინა, მაგრამ მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ ამბობს, რომ ექვსივენი მზად იქნებიან ინგლისელებთან სათამაშოდ.

თითქმის ძველი შემადგენლობა ეყოლება ინგლისსაც. იმ თერთმეტი ძირითადიდან, ვინც ტუნისს 2:0 მოუგო, ალბათ არ იქნება მხოლოდ გარი ნევილი. ნევილმა კოჭი იტკინა და მის პოზიციას გარეთ საუთგეიტი გაამაგრებს.

ინგლისელების მწვრთნელი გლენ ჰოდლი დღევანდელი მეტოქის მიმართ დიდ პატივისცემას გამოხატავს.

„რუმინელები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან. გეორგ ჰაჯის შეუძლია ნებისმიერი მატჩის მიმდინარეობა და ბედი შეცვალოს. გუნდი მთლიანობაშიც ძალიან ძლიერია" — ამბობს ჰოდლი და დასძენს — „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის, ისეთი, წლების განმავლობაში რომ შემორჩება ხოლმე მეხსიერებას. რუმინეთი განთესილი გუნდია. ის შესარჩევი ჯგუფიდან ბრწყინვალედ გავიდა, ამიტომაც შეხვედრის ფავორიტად რუმინელებს მივიჩნევ და სხვათა შორის, ეს ძალიან მაწყობს".

ინგლისის და რუმინეთის ბოლო ოთხი შეხვედრა ფრედ დამთავრდა, სამაგიეროდ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრიტანელებმა 1:0 იძალეს.

დღევანდელ შეხვედრაში რუმინელთა დაცვის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლავთ გეორგ პოპესკუ, ინგლისური „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ყოფილი მოთამაშე, რომელიც კიდევ ორ რუმინელ თანაგუნდელთან ერთად ამჟამად თურქეთში, კერძოდ სტამბოლის „გალათასარაიში" გამოდის.

თავდამსხმელი ვიორელ მოლდოვანიც იცნობს ინგლისურ ყაიდას. იგი „კოვენტრი სიტის" ფეხბურთელია.

„რუმინეთში ინგლისელებისგან განსხვავებულ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ პასებს, ფიზიკური მომზადება კი ასე მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია. ინგლისში სათამაშოდ რომ გადავედი, შეგუებისთვის დრო დამჭირდა" — ამბობს მოლდოვანი.

ამინდის პროგნოზის სპეციალისტები დღეს ტულუზში ხვატს ელიან. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ მატჩი ფრანგული დროით 21 საათზე იწყება, რაც ჩვენებურად ღამის 11 საათს ნიშნავს.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**ინგლისი:** სიმენი, საუთგეიტი, ადამსი, კემპბელი, ანდერტონი, ბეტი, ინსი, სქოულზი, ლე სო, შერინგემი, შირერი

**რუმინეთი:** სტელია, პეტრესკუ, ჩიბოტარიუ, გეორგ პოპესკუ, ფილიპესკუ, მუნტიანუ, ჰაჯი, გალკა, გაბრიელ პოპესკუ, მოლდოვანი, ილიე

**ილია ბაბუნაშვილი**

## ჩემპიონატის დღიური

**20 ივნისი**

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

### ძირს კორეა!

შაბათს მარსელის „ველოდრომმა" მორიგ მატჩს უმასპინძლა — ჰოლანდია კორეას დაუპირისპირდა. პირველი შეხვედრები მეტოქეებმა ცუდად ითამაშეს, მაგრამ თუ აზიელნი მექსიკელებთან დამარცხდნენ, ჰოლანდიამ მეზობელ ბელგიასთან ზავი დადო. ისე, საინტერესო ფაქტია — ჰოლანდიელებს ბელგიელები შესარჩევ ტურნირებზე დაჩაგრული ჰყავთ, შინ და გარეთ მუდამ უგებენ, აი, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მოგება რაა, მათთვის ბურთიც ვერ გაუტანიათ.

ერთი სიტყვით, ჰოლანდია კორეას ხვდებოდა. უსახურად დაწყებული ჩემპიონატის გამო ორივეს გამარჯვება ეწადა, მაგრამ მოგების შანსები ევროპელებს გაცილებით მეტი რომ ჰქონდათ, ამას თქმა არ უნდა.

შეხვედრა დაიწყო. განვლო ხუთმა წუთმა, ათმა, თხუთმეტმა, ოცმა, გოლი კი არა თუ ჰოლანდიელთა კარში, საერთოდაც არ ჩანდა. არადა, საგოლე მომენტები საკმაოზე მეტი იქმნებოდა. მარცხნივ ოვერმარსს ფლანგი ჰქონდა აკლებული, შუაში ბერხკამპი ცდებოდა უამრავჯერ. დავიდსის გარჯასაც შედეგები არ მოჰყვებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, კორეელთ ბედი ნამდვილად სწყალობდათ.

ბოლოს მოსახდენი მოხდა — ფილიპ კოკუმ თითქოსდა საიმედოდ ჩარაზულ აზიელთა კარს ბოქლომი მოხსნა. აქედან მოყოლებული კი, რომელ ჰოლანდიელსაც არ ეზარებოდა ოდნავი გარჯა, უკლებლივ ყველას გოლი გაჰქონდა. საბოლოოდ ნარინჯისფეროვნებმა 5:0 იმარჯვეს, ასეთი ანგარიშით კი ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არც ერთ გუნდს არ უმარჯვია და მით უმეტეს არ დამარცხებულია.

— კარგია ხუთი ბურთი რომ გაგაქვს, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტის გატანა შეგვეძლო. თითქოსდა რით უნდა ვიყო უკმაყოფილო ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ, მაგრამ უნდა დავძინო, რომ ხუთი გოლის გასატანად ჩვენ ოცდაათამდე კომბინაციის გათამაშება დაგვჭირდა. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები, დამღუპველია. აბა, წარმოიდგინეთ კორეელებზე გაცილებით მაღალი კლასის გუნდი რომ შეგვხვდეს, მერე რა უნდა ვქნათ? — მწვრთნელი მაინც მწვრთნელია, ჰოლანდიელთა თავკაცი გუს ჰიდინკი გამარჯვების მიუხედავად ოდნავ უკმაყოფილო გახლდათ.

აგერ უკვე მეშვიდედ მონაწილეობს ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონატებზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდს 1974 და 1978 წლებში ტურნირის ფინალშიც უთამაშია, აქამდე ასე საშინლად არავინ დაემარცხებინა. ჰოლანდიელებს ხუთი გოლი კორეელთა ნგრევამდე ერთხელ გაეტანათ — 1978 წელს მათ ავსტრია გაანადგურეს 5:1, ახლა კი...

— კორეა ალიგავა პირისაგან მიწისა! მთელ დუნიაზე მოგვეჭრა თავი! შევრცხვით! — „მინ სუნგი", კორეის უდიდესი გაზეთი უდიდესი სერიოზულობით მოეკიდა ნაკრების მარცხს. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. შორეულ 1954 წელს კორეელებმა პირველად დააჭაშნიკეს მსოფლიოს ჩემპიონატი, თუმცა მაშინდელი ამბები მათ მწარედ ახსენდებათ. ორი თამაში ჩაატარეს და საშინლად შერცხვენ — უნგრეთთან 0:9 წააგეს, თურქეთთან კი 0:7. მას შემდეგ კორეამ სამ მსოფლიოს ჩემპიონატში ითამაშა, თუმც ჰოლანდიელებამდე არც ერთ შეხვედრაში არ განადგურებულიყვნენ.

ჰოლანდიელებმა მეტოქე მიწასთან გაასწორეს, ეს კი არა ისიც საკითხავია, მიწასთან თუ მიწის ქვეშ. ჯგუფში ბოლო თამაშის წინ მათ მერვედფინალისკენ ნაბიჯი კი არ გადადგეს, უბრალოდ, იხტუნეს. ახლა მექსიკელებთან თამაში ელით, იქ კი თუ მოიგეს, ჰოპსაც დაიძახებენ. სხვათა შორის, წლეულს, 24 თებერვალს, ჰოლანდიელებმა ერთხელ უკვე მოახერხეს მექსიკელთა დამარცხება 3:2, თუმცა ის ამხანაგური მატჩი იყო და სხვა არაფერი.

...მსოფლიოს ჩემპიონატამდელ ამხანაგურ მატჩებში თუ ვინმემ შეძლო თავის გამოჩენა, ეს უპირველეს ყოვლისა ჰოლანდიაა — მაისში, რომ აღარაფერი ვთქვათ მანამდელ გამარჯვებებზე, მათ მსოფლიოს ჩემპიონატის ორი მონაწილე — პარაგვაი და ნიგერია ერთნაირი ანგარიშით 5:1 დაამარცხეს.

### მძლეთამძლე

რა შეიძლება ეწოდოს საფრანგეთის ნაკრებს? — სხვისი არ ვიცი და მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ამათ ასე თუ გააგრძელეს, ფინალში კი არა, ნახევარფინალშიც ვერ გავლენ. სამხრეთ აფრიკა 3:0 დაამარცხეს, საუდელები 4:0, საინტერესოა დანიელებს რაღას უზამენ. რა თქმა უნდა, კარგია დიდი ანგარიშით გამარჯვებები, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, იგი რა გზით მიიღწევა. ფრანგებმა, აქაოდა მასპინძლები ვართო, თავდაუზოგავად თამაშობენ, შედეგად კი ის მიიღეს, რომ ორი ფეხბურთელი, ორივე თავდამსხმელი, სტეფან გივარში და კრისტოფ დიუგარი გაურკვეველი ვადით მოისაკლისეს, გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი კი მეოთხედფინალამდე, თუ, ცხადია, გუნდი ამ ეტაპს მიაღწევს.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, სამფეროვანთა (ფრანგების მეტსახელია) ორივე გამარჯვება ძალიან შთამბეჭდავი იყო — ორი განადგურებული მეტოქე და ხელახლა გაჩენილი იმედი იმისა, რომ ფრანგები მათ მიერვე დაარსებულ მსოფლიოს ჩემპიონატს ბოლოს და ბოლოს მოიგებენ.



საფრანგეთი — საუდეთი. დავიდ ტრეზეგეს (№20) არაბთა კარში მეორე გოლი გააქვს, თუმცა ფრანგები ამაზე არ გაჩერებულან

# გამანადგურებლები

**მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებას რომ არაფერი სჯობს, ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა, თუ იგი ნაღდ ბრძოლას, ძლიერი მეტოქის დამარცხებას მოჰყვება. ისე, დღეს სიტუაცია ისეთია, გუნდები შედეგის გულისთვის ყველაფერზე თანახმანი არიან — ოღონდ მოიგონ და მატჩი სანახაობრივად როგორია, ვის რაში აინტერესებს. დღევანდელ ფეხბურთში გაიმარჯვებ, ან უკიდურეს შემთხვევაში ფრედ დაამთავრებ მატჩს და შედეგიც დამაკმაყოფილებელია. ასე ფასდება შეხვედრა და არა სანახაობრივი მხრით. ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დიდ, სახელოვან მეტოქესთან დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას სუსტი მოწინააღმდეგის მიწასთან გასწორება გადასწონის. ხანდახან ისეც ხდება, ორი ძლიერი გუნდის დაპირისპირებისას შეხვედრის სანახაობრივი მხარე საშინელია, ძლიერისა და სუსტის თამაში კი თვალსასეიროა.**

**ლამისაა მეორე კვირა მიიწუროს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებიდან, დიდი ანგარიშით გამარჯვება კი მხოლოდ ოთხმა მოახერხა — ბრაზილიამ, საფრანგეთმა, იტალიამ და ჰოლანდიამ. თუმცა ამათ შორის მასპინძელთა მიღწევა მაინც აღსანიშნავია. მათ მეტოქეთა განადგურება ორჯერ მოახერხეს.**

— ჩვენ დავბრუნდით, რათა გავიმარჯვოთ. 12 წელი ვითმენდით და ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი დროც დადგებოდა. ახლა მოახლოვდა ჟამი ფრანგთა ზეობისა. საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გახდეს! ოქროს თასი აუცილებლად საფრანგეთში უნდა დარჩეს — „უერ მენ სი", მარსელის ერთ-ერთი გაზეთი სამხრეთაფრიკელების ძლევის შემდეგ ამას აცხადებდა. თუ „ბაფანა ბაფანას" მასპინძლებმა 3:0 სლიეს და პრესა ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს, ალბათ უკვე წარმოიდგენდით რა რეზონანსი ჰპოვა საუდელებზე გამარჯვებამ.

— ემე ჟაკემ მართლაც შესანიშნავი გუნდი დააყენა. აქ საფეხბურთო აზროვნება ტაქტიკასთან ბრწყინვალედაა შერწყმული. ჰარმონია კი კარგ შედეგს მოგვიტანს. საფრანგეთის ნაკრებში ნამდვილად არიან ფეხბურთელები, რომელთაც ძალუძთ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება. იმედია, ისინი ოცნებას რეალობად აქცევენ. მე მათი მწამს — თქვა მიშელ პლატინიმ ნაკრების მეორე გამარჯვების შემდეგ. საუდელებთან ფრანგებს სრულიადაც არ გაჭირვებიათ. 4:0 გამარჯვება კარგია. ძალიან კარგია.

თავდაპირველად 3:0, შემდეგ 4:0, საინტერესოა, მოუგებს მესამე მატჩში საფრანგეთი დანიას იმავე ანგარიშით, როგორითაც ჰოლანდიამ კორეას სძლია? საეჭვოა, თუმცა გამორიცხული არაფერია.

არა, საფრანგეთს ასე კარგად მსოფლიოს ჩემპიონატი, მიუხედავად იმისა, რომ მასში მეათედ მონაწილეობს, ჯერ არ დაუწყია. შორეულ 1930 წელს მათ პირველ მატჩში 4:1 დაამარცხეს მექსიკა, მერე კი ორი თამაში წააგეს, 1938 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი პირველად ეწვია საფრანგეთს, მასპინძლებმა გახსნის მატჩში ბელგიას სძლიეს, მერე კვლავ წააგეს. ასე გრძელდებოდა დღემდე. აქამდე ფრანგებს ვერასდროს მოეხერხებინათ საწყის ორ თამაშში მაქსიმუმის მიღწევა და შესაბამისად შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლების ნაადრევად მოპოვება.

ახლა, ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ტურით ადრე, მასპინძლები მერვედფინალში არან. ფრანგები თავიანთ ჯგუფში ალბათ პირველ ადგილს დაიკავებენ. მერვედფინალში კი, არაა გამორიცხული, ისინი ესპანელებს დაუპირისპირდნენ. თუ ასე მოხდა, ეს მასპინძლებისა და ესპანელების მეორე შეხვედრა იქნება წლეულს — 28 იანვარს სენ დენის ბრწყინვალე „სტად დე ფრანსის" გახსნის მატჩში ძლიერნი ფრანგები აღმოჩნდნენ 1:0.

### მრისხანე ტიტულოვანნი

დიდი ანგარიშით მოგება საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მასპინძლებმა დააჭაშნიკეს, მერე კი ტურნირის მუდმივმა ფავორიტებმაც გამოაჩენს ბრჭყალები. ბრაზილიელებმა და იტალიელებმა პირველი შეხვედრები სუსტად ჩაატარეს — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ბრაზილიელებმა ავტოგოლის წყალობით შეძლეს სქოთთა დამარცხება, იტალიელებმა კი საერთოდაც საეჭვო პენალტის წყალობით დააღწიეს თავი ჩილელებთან მარცხს.

საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი რამაა, იქ გუნდების ავ-კარგზე ერთი თამაშით არ უნდა იმსჯელო, მით უმეტეს, ბრაზილიის და იტალიის დარ ნაკრებებზე. პირველ შეხვედრაში ვერ ირჯებოდნენ კარგად, მავანმა და მავანმა ისინი ჩემპიონბის მოცილეთა სიიდან კიდეც ამოაგდო, თუმცა ამით მათ არაფერი დაჰკლებიათ, ითამაშეს მეორე შეხვედრები და ძალაც, მთლიანად არა, მაგრამ მაინც გამოაჩინეს.

ბრაზილიის მეორე მეტოქე ერთი შეხედვით სანახაობრივი ფეხბურთის მოთამაშე მაროკო გახლდათ, მუსტაფა ჰაჯის მეთაურობით.

ბრაზილიამ მაროკო თავის ადგილზე დააყენა. ნორვეგიასთან ასე თუ ისე ხეირ-იანი თამაშის შემდეგ მაროკოელთა მწვრთნელმა ანრი მიშელმა განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ეს ნაკრები ბრაზილიელებს გააწამებსო. პირიქით მოხდა — ჩრდილოაფრიკელებს ზაგალოს ზეტექნიკურმა ბიჭებმა წესი აუგეს — 3:0. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს არც ეს შეხვედრა უთამაშიათ ბრწყინვალედ — მათ თამაშში ლაფსუსები შეინიშნებოდა, თუმცა ის, რაც ბრაზილიელებმა აჩვენეს, აფრიკელ-თათვის სავსებით საკმარისი ყოფილა. სხვათა შორის, ეს 3:0 ბრაზილიელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-18 დიდი ანგარიშით მოგებული მატჩი ყოფილა, ასეთი შედეგი კი სხვა არც ერთ გუნდს აქვს.

რაც შეეხება იტალიელებს, მათ მეტოქეც აფრიკელი გახლდათ — კამერუნი. „სკუადრა აძურამ" პირველი მატჩი ჩილესთან ცუდად ითამაშა, კამერუნმა კი პირიქით, კარგად. მათი დაპირისპირების წინ ბევრმა იტალიელთა გამარჯვებაში ეჭვიც შეიტანა, მაგრამ აქედან რა გამოვიდა, თავად ნახეთ. საერთოდ რაც კამერუნი მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობს, ჯერ არ მომხდარა, მათ პირველი შეხვედრები წაეგეს, თუმცა მერე და მერე, ტურნირის შუაწელი რომ ახლოვდება, კამერუნი და ხშირ შემთხვევაში სხვა აფრიკელი ნაკრებებიც იმ ადგილის უბრუნდებიან, სადაც უნდა იყვნენ.

მერვე წუთზე ანგარიში უკვე 1:0 იყო, ცხადია, იტალიელთა სასარგებლოდ. მერე კი... მერე კრისტიან ვიერის ჯერიც დადგა.



ვიერის (№21) და დელ პიეროს თაობამ იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ანგარიშით 28 წლიანი შესვენების შემდეგ მოაგებინა

### ჯერ რა საჭიროა?

საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი რამეა, თუ ძალები რაციონალურად არ გადაანაწილე, თავს დაიღუპავ. ის, რომ ფავორიტები პირველ შეხვედრებში ისე არ თამაშობენ, როგორც შეეფერებათ, ბევრს არაფერს ნიშნავს. ყველაფერი მერე და მერე ირკვევა, ლიდერთა ნამდვილი შესაძლებლობებიც მოგვიანებით წარმოჩინდება. ასე რომ, ნუ გამოვიჩენთ სულმოკლეობას ფავორიტების შეფასებაში.

მოთმინება უპირველეს ყოვლისა!



ჰოლანდიელები კორეელებთან მოგებას ხარობენ. ესენი კიდევ ბევრს „დალურსმავენ"

# ზაგალო ნორვეგიელებს დასცინის



მარიო ზაგალოს ეგილ ოლსენის ნაქილიკარი ძაღლის ნაკბენივით ახსოვს

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს, მარიო ზაგალოს სურს, რომ მისმა მეტოქე-კოლეგამ, ნორვეგიელთა თავკაცმ ეგილ ოლსენმა ორშაბათ ღამით ვერ დაიძინოს.

„გუნდის შემადგენლობის დასახელებას თამაშის დაწყებამდე 45 წუთით ადრე ვაპირებ, მანამდე კი არა. მსურს, ოლსენს ძილი გავუტეხო" — თქვა ზაგალომ — „იწვეს, თავი ბალიშზე დადოს და იფიქროს".

ნორვეგიამ მსოფლიოს ჩემპიონები უნდა დაამარცხოს, ისევე, როგორ ოსლოში, გასულ წელს, ამხანაგურ შეხვედრაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მერვედფინალი ალბათ, ოცნებად დარჩება.

მოსალოდნელია, რომ ზაგალო ლეონარდოს დისკვალიფიცირებული სეზარ სამპაიოს ადგილას, უკან დაწევს და შეტევაზე დამშეულ დენილსონს გაიყვანს. თითო ყვითელი აქვთ ცენტრალურ მცველებს ალდაირს და ჟუნიორ ბაიანოს, ამიტომაც მოსალოდნელია, რომ რომელიმე მათგანის ნაცვლად ზაგალომ გონსალვეში ათამაშოს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფიდან უკვე გასულია, ბრაზილია ნორვეგიის დამარცხებას ჰპირდება ხალხს.

„მათ ფრე აძლევთ ხელს" — თქვა ზაგალომ, მაგრამ ჟურნალისტებმა შეუსწორეს, ფრე კი არა, გამარჯვება უნდათო — „ოჰ, გამარჯვება სდომებიათ! რა მნიშვნელობა აქვს, რიცხვებს ოლსენი ჩაუჯდეს, მისი დახმარება მე არ მევალება".

ზაგალოს გუნდმა გასულ წელს, ოსლოში, ამხანაგურ შეხვედრაში 2:4 წააგო. მაშინ ოლსენმა თქვა, ბრაზილიელთა მწვრთნელი მე რომ ვიყო, გუნდი სულ მსოფლიოს ჩემპიონი იქნებოდაო და ზაგალო სწორედ ამიტომაა გაცოფებული. მერე ოლსენმა შეცდომა გაასწორა, მე ამ სიტყვით ზაგალოს შეურაცხყოფას არ ვფიქრობდიო, მაგრამ...

„ამდენი მაღლა ჩაწოდებული ბურთის შემყურეთ, კისერი გვეტკინება" — არ დაცხრა ბრაზილიის მწვრთნელი — „თამაშის მერე მასაჟისტთან წავალთ".

# ბლაჟევიჩი ისევ იმ ჭკუაზეა

1996 წელს ინგლისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებმა მართლაც მშვენივრად იასპარეზა, განსაკუთრებით დანიელებთან, როდესაც დავორ შუკერმა შმაიხელს შავი დღე აყარა და თავის გუნდს 3:0 მოაგებინა. ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა ექსიუგოსლაველებს პორტუგალიის ნაკრებთან ჰქონდათ დარჩენილი და მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში ჩეხებს ხვდებოდნენ, თუ არა და გერმანიის საკმაოდ ძლიერ გუნდთან უნდა ერკვიათ ურთიერთოა. ამ მატჩის დაწყებამდე პრესაში ხორვატთა თავკაც მიროსლავ ბლაჟევიჩის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც იგი ირწმუნებოდა, გვირჩევნია, გერმანიას შევხვდეთ, მათ უფრო ადვილად გავუსწორდებითო. ასეც მოხდა, ბლაჟევიჩის ბიჭებმა პორტუგალიელებთან 0:3 წააგეს, თანაც ეტყობოდათ, თავს არ იკლავდნენ და შემდგომ ეტაპზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს დაუპირისპირდნენ. ხორვატებმა ის თამაშიც დიდებულად ჩაატარეს, უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ, ეტყობა, მოწინააღმდეგის ერთი თვისება ვერ გათვალეს — ხასიათის სიმტკიცე და, აკი ინგლისს ნაადრევად გამოემშვიდობნენ.

ანალოგიური სიტუაციაა დღესდღეობითაც. მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტებმა პირველი ორი შეხვედრა მოიგეს და უკვე მერვედფინალურ მატჩზე დაიწყეს ფიქრი. ამ ეტაპზე ისინი სამი გუნდიდან — ინგლისი, კოლუმბია, რუმინეთი, ერთს აუცილებლად შეხვდებიან. თითქოს ორი უკანასკნელი უფრო სასურველი მეტოქეა, მაგრამ ბლაჟევიჩი კვლავ უცნაურად მოიქცა და განაცხადა, ძალიან კარგი იქნება, თუ ინგლისს შევხვდებითო: „G ჯგუფიდან ალბათ ბრიტანელები და რუმინელები გავლენ. ინგლისელებს მართლაც შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული და საფრანგეთი 98-ის ფავორიტებადაც ტყუილად არ ითვლებიან, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, რუმინელებთან უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე მათთან".

პრემიერლიგაში უკვე დიდი ხნის მანძილზე ასპარეზობს ხორვატიის ნაკრების მცველი სლავენ ბილიჩი. ამიტომაც მან იქაური ფეხბურთის ავანჩავანი კარგად იცის და ბლაჟევიჩის მსგავსად, მეტოქედ ინგლისის ნაკრები ურჩევნია: „ალან შირერი, მაიკლ ოუენი, ტედი შერინგემი, პოლ სქოულზი... ისინი ძლიერი ფეხბურთელები არიან და ერთად მშვენიერ გუნდს ქმნიან, მაგრამ ჩვენი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მათ საკუთარი თამაში უნდა მოვახვიოთ თავს. თუ ინგლისელების ჩქარ ტემპს ავყვებით, [illegible] ვივა, ამიტომ შესაბამისი ტაქტიკა უნდა შევიმუშავოთ. წინ რამდენიმე თავისუფალი დღე გვაქვს, ამ დროს მთლიანად მზადებას დავუთმობთ", — აცხადებს „ევერტონში" მოთამაშე ბილიჩი.

იმედიანადაა განწყობილი ხორვატთა ერთ-ერთი ლიდერი ალიოშა ასანოვიჩი, რომელიც ინგლისზე ხმას არ იღებს და მისთვის სულ ერთია, მერვედფინალში ვისთან მოუწევს პაექრობა: „ჩვენ პატარა ქვეყნიდან ვართ და მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გამოვდივართ, თუმცა ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარი ის არის, რომ ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი გვყავს და ყველას დამარცხება ძალგვიძს".

მიუხედავად ასეთი ოპტიმიზმისა, ხორვატები რაღაც-რაღაცეებით განაწყენებულნი ყოფილან. პირველ რიგში იმით, რომ იაპონელთა ძლევის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ბლაჟევიჩისა და ჟურნალისტების კითხვა-პასუხს სერბი თარგმნიდა. კარგად მოგეხსენებათ, ხორვატებისა და სერბების მეტად დაძაბული ურთიერთობა, ამ ორ ქვეყანას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებები ხომ სულ ახლახანს შეჩერდა. ამიტომაც მათ ფიფაში სარჩელი შეიტანეს. მართალია, ფიფამ ეს სარჩელი უარყო, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მარკუს სიგლერმა განაცხადა, ამიერიდან პრესკონფერენციებს მხოლოდ ხორვატი თარჯიმნები მოემსახურებიანო.

და კიდევ, ბლაჟევიჩის შეგირდები მატჩების ჩატარების დროს აუღელვებია. იაპონელებთან მათ შუადღისას მოუწიათ თამაშმა და, როგორც შემდეგ გაირკვა, თითოეულ მათგანს წონაში საგრძნობლად დაუკლია. განსაკუთრებით დავორ შუკერია აღელვებული: „მატჩის მსვლელობისას ძალიან ცხელოდა, რის გამოც ძლიერ დავიღალე. ასეთ დროს შეხვედრის ჩატარება მართებული ნამდვილად არ არის, რადგან 38 გრადუს სიცხეში თამაში შეუძლებელია. ბიჭები დაიქანცნენ და ერთობ ბევრი წყალი დალიეს, ამიტომაც მოგება ძალიან გაგვიჭირდა. პირადად მე ოთხი კილო დავიკელი".

ხორვატების აღშფოთება გასაგებია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ მოწინააღმდეგესაც იგივე პირობებში უწევდათ თამაში. ასეა თუ ისე, სიცხეს და თარჯიმანებს ეშველება, მთავარია, ბლაჟევიჩის ინგლისელებთან დაკავშირებულმა აზირებამ ყველაფერი წყალში არ ჩაყაროს და ორი წლის წინანდელი ისტორია კვლავაც არ განმეორდეს.

**დავით ძოწზირიძე**



ბლაჟევიჩის ფავორიტები არ ეშინია

# პარეირა გააგდეს

საუდეთის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების სუსტად გამოსვლის გამო გუნდის მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ბრაზილიელი, რომელმაც 1994 წელს თავის მშობლიურ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონობა მეოთხედ მოეპოვებინა, საუდეთის ნაკრების თავკაცად გასული წლის დეკემბერში დაინიშნა. გუნდში მისვლისთანავე პარეირამ თავისი შეხედულებისამებრ ყველაზე ოპტიმალური ტაქტიკა შეიმუშავა და არაბი ფეხბურთელების თამაშით მეტად კმაყოფილი იყო. გუნდის კარგი გამოსვლით შეგულიანებული მწვრთნელიც ჩემპიონატს იმედის თვალით უყურებდა და გულშემატკივრებს საუდელთა მეორე წრეში გაყვანას პირდებოდა. მაგრამ... უკვე პირველ შეხვედრაში დანიელთა წინააღმდეგ კარგად გამოჩნდა, რომ ამ გუნდს დიდი ვერაფრის გაკეთება შეეძლო. 0:1 წაგებულ მატჩში საუდეთის ნაკრებს ფაქტობრივად ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შეუქმნია დანიელთა გოლკიპერი შმაიხელის კართან. არაბების სუსტ თამაშს მაშინვე შესაბამისი რეაქცია მოჰყვა, ქვეყნის მეფის ვაჟიშვილი, სულთან ბინ ფად აბდ ალ აზიზი უკმაყოფილო გახლდათ და განაცხადა, ფეხბურთელების ასეთ უფერულ თამაშს არ ველოდი და ამისთვის პარეირას პასუხს მოვთხოვო. თუმც პრინცმა გადამჭრელი ზომების მიღებისგან თავი შეიკავა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ საუდელები მეორე შეხვედრაში მაინც გამოიღებდნენ ხელს. მაგრამ ასე არ მოხდა და მწვრთნელსაც საშინელი კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. საუდეთის ფეხბურთის ფედერაციამ კი სასწრაფოდ საგანგებო კრება ჩაატარა, სადაც უმკაცრესი სასჯელი გამოუტანა პარეირას და იგი გუნდის მწვრთნელობიდან დაითხოვა.

დიდმოხელეებმა ბრაზილიელის განთავისუფლების შესახებ რაიმე დეტალების გასაჯაროებისგან თავი შეიკავეს, რამაც თავად პარეირა მეტად აღაშფოთა:

— ფედერაციის ხელმძღვანელთა საქციელი აღმაშფოთებელია. მართალია, საუდეთის ნაკრებმა პირველი ორი შეხვედრის წაგებით შემდეგ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთელები ბოლომდე ირჯებოდნენ და წარმატების მისაღწევად თავი არავის დაუზოგავს. საუდეთისთვის მეტად რთულია ზედიზედ ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე სენსაციის მოხდენა. ის კი არა, ხანდახან ჯგუფიდან გასვლას ჩვენზე გაცილებით ძლიერი ნაკრებები ვერ ახერხებენ. და ამიტომ არაბი ხელმძღვანელობის ასეთი მოპყრობა უსამართლოდ მიმაჩნია. მწვრთნელის ხშირი ცვლა ნამდვილად არ არის ის გზა, რომლითაც ისინი ძლიერი გუნდის შექმნას შეძლებენ — განაცხადა ნაწყენმა პარეირამ, რომელიც, სხვათა შორის, მეცხრე



კარლოს ალბერტო პარეირა

მწვრთნელია, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საუდეთის ნაკრების თავკაცის თანამდებობიდან რომ მოხსნეს.

გაჭირვებაში ჩავარდნილ პარეირას მხარი თანამემამულემ და ძველმა მეგობარმა მარიო ზაგალომ დაუჭირა, რომელმაც ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში საუდეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება გააკრიტიკა.

— გუნდის მთავარი მწვრთნელის შუა ტურნირის დროს თანამდებობიდან დათხოვნა სრულიად გაუგონარი ამბავია. ეს შეიძლება ტრაგიკომედიის სიუჟეტადაც კი გამოდგეს. ვფიქრობ, არაბი დიდმოხელენი უსამართლოდ მოიქცნენ. ასე მგონია, რომ მათი ეს მოქმედება მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ საკუთარი თავისკენ მიეპყროთ მსოფლიოს ყურადღება. არადა, პარეირა ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ იმსახურებდა, რადგან ის შეუფასებელი დახმარება, რომელიც მან საუდეთის ნაკრებს გაუწია, მხოლოდ უდიდესი დაფასებისა და პატივისცემის ღირსია.

**ირაკლი ხმელიძე**

# ბუმ კუნ ჩას უმუშევარია

კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბუმ კუნ ჩა თავის დროზე საუცხოო ფეხბურთელი გახლდათ. ალბათ, საუკეთესოც კი არა მხოლოდ სამხრეთ კორეის, არამედ მთლიანად აზიის ფეხბურთის ისტორიაში. თუმცა ფეხბურთელობისას მოპოვებული დიდება სუსტად მოასპარეზე გუნდის თავკაცისთვის დიდი ვერაფერი შვებაა და აკი მწვრთნელობისას ვერც დაიცვა: მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეელების მიერ უფერულად ჩატარებული საწყისი ორი შეხვედრის გამო ბუმ კუნ ჩა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

სამხრეთ კორეის ნაკრებს თავისი არსებობის მანძილზე ოთხჯერ უასპარეზია მსოფლიოს უდიდეს სპორტულ სანახაობაზე და ვერც ერთი მატჩი ვერ მოუგია. საფრანგეთში აზიელები იმ იმედით გაემგზავრნენ, რომ იქნებ მეხუთე ცდით მაინც დაერღვიათ ეს უსიამოვნო ტრადიცია და პირველი გამარჯვებაც ჩაეწერათ აქტივში. მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და პირველ ორ მატჩში საშინლად შერცხვნენ. ამ შეხვედრების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე კორეელთა ასპარეზობის სტატისტიკა საშინლად გამოიყურება: არც ერთი მოგება, სამი ფრე და ათი წაგება. ეს უკვე მეტისმეტი იყო და კორეის ფეხბურთის მამებმა ბუმ კუნ ჩა უყოყმანოდ მიაბრძანეს ნაკრების მწვრთნელობიდან.

# ფირი სამი თამაშით გამორთეს

მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯებმა ბოლო დღეებში სინდისზე მთლად რომ აიღეს ხელი და ყველა უმნიშვნელო ჯარიმაზე წითელ-ყვითელ ბარათებს უჩვენებდნენ, არავისთვისაა ახალი. ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის მუქარამ არბიტრებზე მეტად ცუდი გავლენა იქონია და შესაძლო სანქციების თავიდან ასაცილებლად ისინი ხშირად მათთვის მინიჭებულ ძალაუფლებას ბოროტად იყენებენ. ამით კი უპირველესად საბრალო ფეხბურთელები ზარალდებიან. საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავმა ზინედინ ზიდანმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ახალი წესების მთელი სიმკაცრე. თუმცა, ფრანგი სულაც არ არის ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე მძიმედ დაისაჯა: თუ ზიდანს „მხოლოდ" ორი მატჩის განმავლობაში მოუწევს დასვენება, სამხრეთაფრიკელ ალფრედ ფირს ეს არ აკმარეს და სამი თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ისე, სიმართლე უნდა ითქვას — ეს ფეხბურთელი სასჯელს ნამდვილად იმსახურებდა. დანიელებთან შეხვედრაში იგი იმდენად დაუნდობლად მოექცა ერთ-ერთ მეტოქეს, რომ იგი ცოტა ხნით მოედნიდანაც კი გაიყვანეს. ამ შემთხვევას მსოფლიოს ჩემპიონატის დამსჯელი საბჭოს წარმომადგენლობის რისხვა და უმკაცრესი განაჩენი მოჰყვა.

— მსოფლიოს ჩემპიონატს მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს, რომელთაც ლამაზი და კორექტული თამაშის ხილვა სურთ. ფირის მსგავსი უხეში ფეხბურთელები კი უარყოფით ემოციებს იწვევენ, ამიტომ სამხრეთაფრიკელს სამაგალითოდ დავსაჯეთ. ასეთ მკაცრ ზომებს საგანგებოდ მივმართავთ. ჩვენი მიზანია, ყველა მოთამაშეს დავანახოთ, რომ თუ ფირს მიბაძავენ, მათაც ასეთი ბედი ელით — განაცხადა დამსჯელი საბჭოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# ეს არ არის რიო დე ჟანეირო

რახან დღეს ინგლისის ნაკრები თამაშობს, ვფიქრობდი, ამ სამი სვეტის ინგლისელთა გამო დავწერ-მეთქი, მაგრამ მერეღა მივხვდი, რომ ბევრი მომივიდოდა. ფანების გამო ხომ დავწერე? დავწერე. გაზას და ჰოდლის სურათი ხომ დავბეჭდე? დავბეჭდე. ჰოდა ინგლისის ნაკრებს ჯერ იმდენი არაფერი გაუკეთებია, რომ მივდგე და კიდევ მის გამო ვილაპარაკო. თანაც, რედაქციაში მომავალს ერთი საფეხბურთო ძმაბიჭი შემხვდა და ფეხბურთელებისა და ქალების ურთიერთობაზე ჩამომიგდო სიტყვა.

სექსსა და მწვანე მინდორს აბა, რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან?

ჩვენი რედაქციის ერთ-ერთ კედელზე პლაკატია გაკრული. პლაკატზე კი ერთი კარგი გოგოშკა „იუვეს" სამოსში გამოწყობილა. ენამწარე თანამშრომლები ამტკიცებენ, ეს ფოტომოდელი ინძაგიაო და რა ვიცი. მეც ეჭვი მაქვს.

ქუჩაში გადაყრილი ძმაბიჭი კი სხვა ფიქრს მისცემოდა. შენს სვეტში წავიკითხეთ რომაო, ბრაზილიის ნაკრების ოდინდელი მწვრთნელი ჟოაო სალდანია თავის ფეხბურთელებს სანაკრებო „სბორის" დროსაც არ უშლიდა ქალებში გაგულავებას, ოღონდ ეგ იყო, რომ გოგონების ხშირ ცვლას უკრძალავდაო. სალდანიას პირობა ყოფილა, კვირა ერთი პარტნიორთან გალიეთ და მე არაფერს გეტყვითო.

ძმაბიჭს აინტერესებდა, ამგვარი მიდგომა რას უნდა ნიშნავდესო.

მეც მაინტერესებს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ როცა გუნდი ყაზარმულ მდგომარეობაზე გადადის, ფეხბურთელები სამონასტრო იერს მიიღებენ ხოლმე და მწვრთნელებიც გაუთავებლად ლაპარაკობენ წესრიგზე, კონცენტრაციასა და ადრე დაძინებაზე.

რაც შეეხება სალდანიას ამბავს, იგი გაზეთში ამოვიკითხე. კერძოდ „ტაიმსის" საფეხბურთო დამატებაში. კარგა გვარიანი სტატია იყო, რომლის ავტორიც მავანი რობ ჰიუზი გახლდათ. ის წერილი ინგლისის ნაკრებში გამეფებულ წესრიგს, სმისა და ქალების აკრძალვას ეხებოდა და სათაურად კი „ბრაზილიელთა საიდუმლო იარაღი" ერქვა.

სიჩქარეში გაზეთის ის ნომერი ველარ ვიპოვე, თუმცა, რაც იქ წერია, მშვენივრად მახსოვს და რახან ძმაბიჭს დააინტერესა, ალბათ, სხვებსაც აინტერესებთ.

ამ შემთხვევაში, ის უნდა გაიხსენოთ, თუ ვინ იყო ჟოაო სალდანია, რომელიც რვა წლის წინათ გარდაიცვალა. ეს იყო საფეხბურთო მწერალი კაცი, რომელიც საუცხოო და მეტად თავისებური მწვრთნელი გამოდგა. ამ კაცმა შექმნა ბრაზილიის ის ნაკრები, რომელმაც 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. დღემდე ამ ნაკრებს საუკეთესო გუნდად აღიარებენ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ტოსტაო, გერსონი, პელე, ჟაირზინიო, კარლოს ალბერტო... ჩამოთვალა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე წესიერ და ნიჭიერ ადამიანებს, სალდანიასაც არ ეწერა მსოფლიო ჩემპიონატზე მწვრთნელად ჩასვლა. ინტრიგების წყალობით, რიოს გუბერნატორმა და გავლენიანმა გენერლებმა მის გადაყენებას მიაღწიეს და ფეხბურთის კონფედერაციამ მწვრთნელად ზაგალო დანიშნა. ზაგალოს ეყო ჭკუა და არაფერი შეუცვლია სალდანიას გუნდში. საქმე დარიოში იყო. რიოს გუბერნატორს უნდოდა, რომ ეს ფეხბურთელი ნაკრებში ყოფილიყო. ზაგალომ იეშმაკა — დარიო წაიყვანა და არ ათამაშა. სალდანიას კი არ მიყავდა.

ახლა კი სალდანიას რეჟიმი გავიხსენოთ.

ქვეყნად არ მოიძებნებოდა და ალბათ არც მოიძებნება სილაღის ამგვარად მოყვარული მწვრთნელი.

„ჩვენ ვინ გვჭირდება, მოთამაშენი, თუ მღვდლები?" — იკითხავდა ხოლმე სიცილით.

დღევანდელი გუნდების საბანაკო ცხოვრებისთვის რომ ეყურებინა, სალდანია ბევრს და დაუღალავად იცინებდა.

მას, რა თქმა უნდა, შემოღებული ჰქონდა სექსისა და სმის ამკრძალავი წესები. მაგრამ ეს წესები მხოლოდ პრესის დასანახად მოქმედებდა და არა ფეხბურთელთათვის. „მე გუნდში მყოლია გარინჩა, დიდი-ექვსი ყაჩაღი. ისინი ისე სვამდნენ, რომ ნებისმიერ სუპერლოთს დაჯაბნიდნენ ამ საქმეში. მაგრამ ისინი თამაშობდნენ. ისინი გულუბრყვილო ბიჭები იყვნენ და ჭკვიანი კაცი იოლად მოახერხებდა მათ მართვას", — იხსენებდა სალდანია.

ოფიციალურად, ფეხბურთელებს მხოლოდ პარასკევ საღამოს შეეძლოთ თავისუფლად ყოფნა. არაოფიციალურად, ყოველი ღამე მათი იყო. როცა რომელიმე ჟურნალისტი არაოფიციალურ დღეს მაინც გამოიჭერდა ნასვამ, ან გოგებთან მოლლაბუცე ჟაირზინიოს, ან კლოდოალდოს, სალდანიას პასუხი ერთი იყო: „მე რა, ძიძა ვარ?"



სალდანიამ იცოდა: ეს ბრაზილიელი გოგო ისე კარგად კენწლავს ბურთს კოპაკაბანას ქვიშაზე, რომ წარმოუდგენელია, ფეხბურთს ქალი ჩამოაშორო

სალდანიამ კარგად იცოდა, რომ ფეხბურთელთა ნერვებზე თამაში უვარგისი რამ არის. მან იცოდა, რომ ხელქვეით ჰყავდა სერიოზული ბიჭებიც და არასერიოზული ბიჭებიც. არასერიოზული ბიჭების შეზღუდვა და აღზრდა მისთვის ზედმეტი ტვირთი იყო. მით უმეტეს, რომ ისინი ზღაპრულად თამაშობდნენ ფეხბურთს.

როგორც აღვნიშნე, სალდანია ითხოვდა ერთადერთ რამეს. მას რატომღაც სწამდა, რომ ერთი ღამის პარტნიორობა ვნებდა ფეხბურთელებს. ამიტომ ნაბრძანები ჰქონდა: შეგიძლიათ, კვირაში თუნდა ოცჯერ გაინავარდოთ, მაგრამ ერთსა და იმავე გოგოსთან. ორშაბათიდან ორშაბათამდე ერთი გოგო უნდა იმყოფინოთ.

და განა არ იყვნენ რეჟიმის დამრღვევნი? ნაკრების ერთ-ერთ მეკარეს ეს წესიც დაურღვევია. შუა კვირაში სხვა გოგოს გადაჰყრია და მასთან გადაბარგებულა. ბიჭები კი ამდგარან და სალდანიასთან ჩაუშვიათ, ჩვენ რომ გვიშლი აგე, რას სჩადისო.

სალდანიამ დილის კრებაზე წამოაყენა დამნაშავე და მკაცრად მიმართა:

„პირშავო მატყუარა ემერსონ ლეაოვ! განა არ იცი, რომ შეთანხმება დაარღვიე"?

„ვიცი, სეუ"! — მიუგო ფეხბურთელმა.

„მერე რატომ მოიქეცი ასე?"

„ძალიან ლამაზი და კარგი იყო, სეუ".

„ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ სამი დღე უნდა მოიცადო ხოლმე. მე სად ვდიო შენს ემოციებს?"

ემოციები — აი, რაზე ფიქრობდა სალდანია.

მას მიაჩნდა, რომ ფეხბურთელმა არასოდეს უნდა უღალატოს თავისი ცხოვრების წესს. ანუ, ყოველთვის ბუნებრივ პირობებში უნდა იყოს. მას მიაჩნდა, რომ წესები მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ვიღაცამ დაარღვიოს.

სალდანია ყოველთვის ასე ეუბნებოდა ფეხბურთელებს: „რამდენ კათხა ლუდს სვამ? სამს? ხუთი არ დალიო. ხუთი შენთვის ბევრია. კვირაში რამდენჯერ გაქვს სექსი? ორჯერ? ყოველღამე ნუ გავარდები და ერთ გოგოს უერთგულე. ქალების ცვლამ აღელვება და ემოციები იცის. მე არ მჭირდება შენი მღელვარება. უბრალოდ, მე მინდა, რომ შენ კარგად იყო. გაიგე?"

ასეთი იყო ამ კაცის ფილოსოფია ოცდაათი და მეტი წლის წინათ. მას დიდებული, ზღაპრული ფეხბურთელები ჰყავდა და წამითაც არ უფიქრია, რომ მათთვის ბორკილები დაედო. სალდანიას გუნდში მეფობდა თავისუფლება და მხიარულება, რაც ასე აკლიათ დღევანდელ გუნდებს.

იტყვიან იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარაო. დღეს ასე აღარ გამოვაო. სალდანიას არა მარტო დიდი ფეხბურთელები, არამედ გამორჩეული პიროვნებები ჰყავდა ხელქვეითო.

ეგებ მართლაც ასეა. ყველაფერი ხომ ძალიან გაძვირდა.

მე ვნახე გლენ ჰოდლისა და ბერტი ფოგთსის მიერ დამუშავებული დღის რეჟიმები. მშენია ლაზარონის და საკის დღის განრიგებზეც. სალდანიას რომ ეს ქაღალდები ენახა, კვლავ და კვლავსიცილით მოკვდებოდა. ასეთი კაცი იყო, მხიარული. ის ბუნებრიობა ესწრაფვოდა და ალბათ ამიტომაც ჰყავდა ასეთი გუნდი.

ხომ ინგლისელთა გამო ვაპირებდი დაწერას?

ჰოდა, ბარემ ინგლისელებით დავამთავრო.

ატლანტიკური ლუარის პატარა ქალაქ ლა ბოლში ინგლისის ნაკრებია დაბანაკებული. მთელს ბანაკში, ერთადერთი ქალია. ეს ქალი დიდად ცნობილი ვინმეა ბრიტანეთში. ამ ბიცოლას ელენ დრური ჰქვია და თავის კუნძულზე იცნობენ როგორც ექსტრასენსსა და სულთა დიდ სპეციალისტს. მოკლედ, კეთილი ჯადოქარია და ჰოდლს იმიტომ მოუწვევია ნაკრებში, რომ მოთამაშეთა სულს სიმტკიცე და სიმშვიდე შესძინოს. სულიერი სიმტკიცე სჭირდებათ ქეიფისმოყვარე ყაჩაღანებსო. დალევა აკრძალული აქვთ და ქალბატონ დრურისთან სულიერი საუბარი ნებადართული. ეგებ ეს კარგია და დღევანდელი მდგომარეობისთვის საჭირო.

მაგრამ სალდანია სიცილით მოკვდებოდა.

ნამდვილად.

და იტყოდა:

„არა, ეს არ არის რიო დე ჟანეირო!"

ამიტომაცაა, რომ ფეხბურთელები ლობეებს ახტებიან ხოლმე. მათ თავიანთი ბუნებრივი მდგომარეობა აკლიათ. სად საფეხბურთო ბანაკი და სად მონასტერი?

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 ივნისი | | | |
| კოლუმბია — ტუნისი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| რუმინეთი — ინგლისი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 23 ივნისი | | | |
| ბრაზილია — ნორვეგია | 1,3 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შოტლანდია — მაროკო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ჩილე — კამერუნი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| იტალია — ავსტრია | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24 ივნისი | | | |
| საფრანგეთი — დანია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ს. აფრიკა — საუდეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| ესპანეთი — ბულგარეთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ნიგერია — პარაგვაი | 1,9 | 3,2 | 3,3 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# რას ერჩოდი, დავით ჯან

## ინტერტოტოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპი

ქუთაისი
„გივი კილაძე"
21 ივნისი

**ქუთაისი 6:0 ერებუნი**

**ტორპედო:** გრ. ჭანტურია, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, ხუჯაძე (თურმანიძე 65), ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მაღლაკელიძე 85), ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი 62), ჯინჭარაძე, კ. მეტრეველი
**ერებუნი:** ა. ავაქიანი, კ. სიმონიანი (ოვსეფიანი 35), ნარიმანიანი, მარქარიანი (თათევოსიანი 46), დალაქიანი, მკრტიჩიანი, რ. სიმონიანი (ავეთისიანი 55), მიქაელიანი, ნაზარიანი, ოვანესიანი, არზუმანიანი
1:0, 2:0 მეგრელაძე (3, 28), 3:0 ვაჩიბერაძე (30), 4:0, 5:0 ჯანაშია (43, 81), 6:0 კვეტენაძე (83)
**გაფრთხილება:** ოვსეფიანი
**მსაჯი:** იაკობ ხაიმი (ისრაელი)

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

აჰა, როგორც იქნა, „ტორპედოც" ელირსა. არა, ქუთაისელებს აქამდე რვა ათეული შეხვედრა გაუმართავთ უცხოელ მეტოქეებთან, რომელთა შორის ყოფილან ბრაზილიური „პალმეირასი", გერმანული „ჰანზა" და „კარლ ცაისი", პოლონური „რუხი" და „გურნიკი", თურქული „ანთალიასფორი", შვედური „სუნდსვალი", კიდევ ბევრი მათნაირი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ირანის და მაროკოს ნაკრებიც კი. დიახ, დიახ, ამ ბოლო ორისთვის „ტორპედოს" თავისუფლად მოუგია, მაგრამ ეს ადრე იყო. ახლა მუსტაფა ჰაჯის მაროკო და, თუ გნებავთ, ირანიც, აგერ, საფრანგეთიდან გვაწონებენ თავს, „ტორპედოს" კი მხოლოდ გუშინ ელირსა. განახლებულ, სანახევროდ სავსე „გივი კილაძეზე" ქუთაისური გუნდის ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირში ნათლობა შედგა. ინტერტოტოს გათამაშების საწყის სტადიაზე ტორპედოელებმა სომეხთა დედაქალაქ ერევნის „ერებუნი-ომენმენს" უმასპინძლეს. ამ შეჭირვებულ ყოფაში ჩვენ ცოტაც გვახარებს. ჰოდა, გუშინაც „გივი კილაძეზე" პატარა ზეიმი იყო.

ალბათ, იღბლის ამბავიც იყო და ტორპედოელებმაც იმარჯვეს. ისინი თამაშის დასაწყისშივე დაწინაურდნენ. მოედნის ცენტრში შეტევა ჩხაიძემ წამოიწყო, გიალომ ორი ერევნელი ჩამოიცილა და უმალ მარცხენა ფლანგზე მეტრეველის მისამართით გაგზავნა ბურთი. ალარც მეტრეველმა დაახანა, რამდენიმე მეტრში ვაჩიბერაძე მოძებნა, ამან კი ცაციათი სომეხთა საჯარიმოში ჩააწოდა, რასაც ისტორიული გოლიც მოჰყვა. მეგრელაძემ ნახტომში დალაქიანს აჯობა და კარისკენ თავური დაარტყა. სტუმართა მეკარემ ბურთის ხელში დაჭერა სცადა, მაგრამ უხეიროდ და იგი ბადეში ამოჩნდა. გაშვებულმა ერევნელები აამოძრავა, მათ „ტორპედოს" საჯარიმომდეც ჩააღწიეს და რომიკ სიმონიანმა თუმცა სუსტად დაარტყა, მაგრამ ჭანტურია კი გაახტუნა. ეს მე-10 წუთზე მოხდა. აქედან მოყოლებული უპირატესობა მთლიანად მასპინძლებისა იყო. ქუთაისელები ყველა კომპონენტში სჯობდნენ მეტოქეს, უნარიანადაც ირჯებოდნენ, ეს იყო, მეორე ბურთის გატანას მთელი 25 წუთი მოანდომეს, ვიდრე კვეტენაძის გამოზომილი დიაგონალური გადაცემის შემდეგ ერევნელთა საჯარიმოში შეჭრილი მეგრელაძე დუბლს შეასრულებდა, ტორპედოელებმა გატანის, სულ მცირე, ოთხი მომენტი გაუშვეს ხელიდან. მე-15 წუთზე ჯანაშიამ საჯარიმოს წინ დაუგდო მეგრელაძეს და მანაც მორგებულად დაჰკრა, მაგრამ ავაქიანმა ითამაშა ჩინებულად, კუთხურზე მოიგერია ბურთი. 23-ე წუთზე ვაჩიბერაძემ უხერხული მდგომარეობიდან ახლო მაღალ კუთხეში დაუმიზნა და სულ ოდნავ ააცილა. ამას ერევნელთა კარისკენ კვეტენაძის გალაშქრება მოჰყვა. მასპინძელთა კაპიტანი სამ ერევნელს დაუსხლტა, კარგადაც გადასცა საჯარიმოში მყოფ მეტრეველს, რომელიც ოდნავ შეყოვნდა და ნარიმანიანმა სახიფათო სიტუაცია განმუხტა. სულ ერთ წუთში ჯანაშია-მეტრეველი-კვეტენაძის სწრაფად და ლამაზად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელის ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტი დარტყმით დასრულდა. მეორე გოლმა მთლიანად დააბნია სომხები და ტორპედოელებმაც აიშვეს. მესამე ჯანაშიას პასით ვაჩიბერაძემ შეაგდო. დათოს შეჩერება სტუმრებს ყველაზე მეტად უჭირდათ. 32-ე წუთზე ჯანაშიას უძლიერესად დარტყმული ბურთი ხარიხამ აისხლიტა. ხუთიოდე წუთში, მისი გადაცემის შემდეგ მეგრელაძეს უნდა გაეტანა, მაგრამ მიზანს ააცილა. ჯანაშიამ მაინც არ დაიშალა თავისი. მარჯვედ დაუსხლტა სტუმართა ხელშეხვეულ მცველ მარქარიანს, მეკარეც გამოიტყუა და ისე შეაგდო. ტაიმზე დამატებულ წუთში ჯანაშიას ერთხელაც მიეცა შანსი, როცა კვეტენაძის თვალისმომჭრელ რეიდს აგვირგვინებდა, მაგრამ ამჯერად მეკარემ ითამაშა კარგად. ამ ეპიზოდამდე სტუმართა მცველმა ნარიმანიანმა შორიდან დაურტყა ჭანტურიას, ჩვენ მეკარეს კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც დაეუფლა ბურს. სხვა სახეირო ერევნელებს შესვენებამდე არაფერი შეუქმნიათ.

ტორპედოელებმა თავისი ფაქტობრივად პირველ ტაიმში გაინაღდეს, ალბათ ამიტომაც ერთობ არხეინად დაიწყეს მეორე. თამაშის ტემპმა საგრძნობლად იკლო და სტუმრებმაც თითქოს შვება იგრძნეს. გათამამდნენ კიდევაც და მასპინძლებს აქეთ შეუტიეს. 65-ე წუთზე ერევნელთა კაპიტანმა არზუმანიანმა უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ ჭანტურიამ ახლოდან „გასროლილი" ძნელი ბურთი მოიგერია. ერევნელთა ამ გამოხდომას ჩხაიძემ უპასუხა ძლიერი შორეული დარტყმით. აქაც მეკარემ იმარჯვა. 68-ე წუთზე ისევ ჭანტურიას მოუხდა ოსტატობის გამოჩენა, როცა ოვანესიანმა მკრტჩიანის ჩაწოდებულს თავური მიაყოლა. ათიოდე წუთში უკვე თათევოსიანი უტევდა სახიფათოდ, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. ეგრე არ უნდაო და, ქუთაისელებმა სითამამისთვის ორჯერაც დასაჯეს მეტოქე. ჯერ იყო და, თურმანიძის გრძელი გადაცემის შემდეგ ჯანაშიამ დაახლოებით 15 მეტრიდან უნაკლოდ დაარტყა და მეორე დუბლის ავტორიც გახდა. მერე კვეტენაძემ ისარგებლა ერევნელ მცველთა დაბნეულობით და მეექვსეც გაუტანა ნირწამხდარ ავაქიანს. ეს ის მეკარეა, რომელმაც ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ეროვნული გუნდისგან შვიდი ბურთი გაუშვა.

ტორპედოელთაგან საუკეთესოდ მეკარე აღიარეს, სტუმართაგან ეს პატივი არავის რგებია. მეგრელაძეს პრიზი პირველი გოლის გატანისთვის გადაეცა.

საპასუხო თამაში ერთი კვირის შემდეგ ერევანში შედგება, მაგრამ ორ შეხვედრაში გამარჯვებულის დასახელება არც ახლა უნდა გაჭირდეს. სხვაგვარად ღმერთმა ნუ ქნას.

### სოსო ფრუიძე: სომხების ბარიერი, ფაქტობრივად, გავლილია

### არამ ფარსადანიანი: ექვსი გოლის გატანას ჩვენც შევეცდებით



გია მეგრელაძემ „ტორპედოს" პირველი ევროგოლი გაიტანა

## მატჩის შემდეგ

**არამ ფარსადანიანი:** ძალიან უკმაყოფილო ვარ. ასეთ შედეგს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მინდორზე რომ გავსულიყავი, მე უფრო კარგად ვითამაშებდი. წაგების მიზეზი ჩვენი გუნდის უსუსური გამოსვლა უფრო იყო, ვიდრე „ტორპედოს" სიძლიერე. თუმცა, ქუთაისის გუნდი ურიგო არ გახლავთ. ძალიან მომეწონა მეცხრე ნომერი ჯანაშია. ასევე გამოვყოფდი მეათე და მეოცე ნომრებს და მეკარეს. „ტორპედო" ერთობ ტექნიკური გუნდია. შინ დაბრუნებისას რამდენჯერმე ვნახავთ მატჩის ვიდეოჩანაწერს და საჭირო დასკვნებს გამოვიტანთ. რევანშისთვის ყველაფერს ვილონებთ. თუ თქვენს ფეხბურთელებს შეუძლიათ ექვსი გოლის გატანა, ჩვენც შევეცდებით, იგივე გავაკეთოთ. ერევანში სულ სხვა თამაშს შემოგთავაზებთ, თავს არ დავზოგავთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენსას მივაღწევთ. ფეხბურთში ყველაერი შესაძლებელია.

**სოსო ფრუიძე:** ძნელია, მთელი მატჩის განმავლობაში უტევდე და წამყვანი პოზიციები გეჭიროს, მით უმეტეს, ამ ეტაპზე, როცა ჩვენთან სეზონი დამთავრებულია. რაც შეეხება ფარსადანიანის მოსაზრებას, მე არ ვეთანხმები — „ერებუნის" სუსტი თამაში ჩვენი გუნდის ოსტატობამ განაპირობა, „ტორპედომ" მეტოქე ყველა სათამაშო კონდიციაში დაჩაგრა. მეტად კარგი გოლები გავიტანეთ, რომელთაგან პირველს გამოვარჩევდი. ეს გოლი მსოფლიოს ჩემპიონატსაც დაამშვენებდა. ვინმეს გამოყოფა, ძნელია, თუმცა ჭანტურიამ საიმედოდ ითამაშა და გუნდი რამდენჯერმე გადაარჩინა. კარგად გვესმის, რომ სომხეთში სულ სხვა „ერებუნი" დაგვხვდება, მობილიზებული, შემტევი, მაგრამ არა მგონია, რამე გამოუვიდეთ. სომხების ბარიერი ფაქტობრივად გავლილია. რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, უფრო მოვუმატებთ თამაშს და ღირსეულად შევებრძოლებით.

დღევანდელ შეხვედრას ფსიქოლოგიური ფაქტორიც სდევდა. ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ. ეს ჩვენი პირველი გამოსვლა იყო ევროთასზე და ყველა ვღელავდით. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ჩვენც პირველი ღირსეული ფურცელი ჩავწერეთ „ტორპედოს" საევროთასო მატიანეში.

**ხვიჩა სანიკიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**ესტონეთის** თასის ფინალში ერთმანეთს „ფლორა" და „ლანტანა" შეხვდნენ. მატჩს მხოლოდ 300 გულშემატკივარი ესწრებოდა. იგი „ფლორამ" მოიგო 3:2 და დუბლი შეასრულა — ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და თასიც დაისაკუთრა.

**ესპანურმა „სარაგოსამ" ტრანსფერზე დააყენა თავისი არგენტინელი ლეგიონერი გუსტავო ლოპესი. მისი შეძენის მსურველ კლუბს „სარაგოსასთვის" ექვსი მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. ახირებული ხასიათით ცნობილი ლოპესი ესპანურ გუნდში 1995 წლიდან თამაშობს. მას შარშან კლუბის თავკაცებთან მუდმივი კონფლიქტები ჰქონდა, ხოლო არგენტინაში, სამშობაო არდადეგებზე წასული უკან ძალიან გვიან დაბრუნდა. ამიტომაც იგი მოედანზე მხოლოდ 22-ჯერ გამოჩნდა, ისიც 9-ჯერ შეცვლაზე. როგორც ცნობილი გახდა, ლოპესით ბევრი არგენტინული კლუბია დაინტერესებული.**

**იტალიის** ქალაქ რეჯო ემილიაში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც გაისად სერია A-ში მოასპარეზე მეოთხე გუნდი უნდა გაერკვია. ერთმანეთს „ტორინო" და „პერუჯა" შეხვდნენ. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 1:1 დასრულდა. ანგარიში პერუჯელმა ტოვალიერიმ 75-ე წუთზე გახსნა, ხოლო 4 წუთის შემდეგ ფერანტემ გაქვითა. რაც შეეხება მატჩისშემდგომ პენალტების სერიას, იგი „პერუჯამ" უკეთ შეასრულა და საბოლოოდ იმარჯვა კიდეც 6:5. ამგვარად, მომავალ სეზონში სერია A-ში ოთხი ახალი გუნდი ითამაშებს — „სალერნიტანა", „ვენეცია", „კალიარი" და „პერუჯა".

**რუსეთის ყველაზე, ხოლო პოსტსაბჭოეთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა მოსკოვის „სპარტაკმა" როგორც იქნა დააყენა საშველი და გასული წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელის დმიტრი ალეინიჩევის იტალიურ „რომაში" გადასვლას დათანხმდა. რუსეთის ჩემპიონ და თასის მფლობელი გუნდის წარმომადგენელმა ალექსანდრ ლვოვმა განაცხადა იტალიელთაგან წინადადება ჯერ კიდევ წლის დასაწყისში მივიღეთ, თუმცა მაშინ ალეინიჩევის გაყიდვა საჭიროდ არ ჩავთვალეთ, ახლა კი სიტუაცია შეიცვალა, 1 ივლისიდან დმიტრი ოფიციალურად გახდება „რომას" ფეხბურთელიო. არასარწმუნო ცნობების თანახმად რომაელებმა ალეინიჩევში 5 მილიონი დოლარი გადაიხადეს, სანაცვლოდ კი მოთამაშემ მათთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აპენინებზე ალეინიჩევი იტალია-რუსეთი მატჩისას მოსწონებიათ.**

## რუსეთი

მე-13 ტური. ჟემჩუჟინა — როსტელმაში 0:0; ალანია — დინამო 2:2; ურალანი — ლოკომოტივი 1:0; კრილია სოვეტოვი — ზენიტი 1:2; ტიუმენი — შინიკი 0:1; სპარტაკი — როტორი 3:1; ცსკა — ტორპედო 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 13 | 7 | 5 | 1 | 19:9 | 26 |
| როტორი | 13 | 5 | 6 | 2 | 25:17 | 21 |
| როსტელმაში | 13 | 5 | 6 | 2 | 20:13 | 21 |
| ალანია | 13 | 5 | 6 | 2 | 15:11 | 21 |
| სპარტაკი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:11 | 19 |
| ჟემჩუჟინა | 13 | 5 | 4 | 4 | 14:14 | 19 |
| ბალტიკა | 12 | 4 | 6 | 2 | 12:11 | 18 |
| ლოკომოტივი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:11 | 15 |
| ურალანი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| შინიკი | 13 | 4 | 4 | 5 | 11:16 | 16 |
| ტორპედო | 13 | 3 | 6 | 4 | 12:12 | 15 |
| კრილია | 13 | 4 | 2 | 7 | 12:19 | 14 |
| ჩერნომორეცი | 13 | 2 | 8 | 3 | 15:14 | 14 |
| ცსკა | 13 | 3 | 4 | 6 | 16:17 | 13 |
| დინამო | 13 | 1 | 9 | 3 | 11:12 | 12 |
| ტიუმენი | 12 | 1 | 1 | 10 | 6:28 | 4 |

## გოგიჩაიშვილი ჯერ ფიქრობს, ზოიძემ კი, არაო

ხმები დაირხა, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, ბოლო ხანს ისრაელში მოთამაშე კახა გოგიჩაიშვილი რუსეთში აპირებს გადაბარგებას და კარიერის ნიჟნი ნოვგოროდში გაგრძელებასო. როგორც თავად კახამ გვითხრა, მას მართლაც შეხმიანებიან ნიჟნიდან, მაგრამ ფეხბურთელს უარი შეუთვლია.

— ჩემი მომავალი ამ თვის ბოლოს გაირკვევა. ჯერჯერობით ზუსტად არაფრის თქმა არ შემიძლია. ისე, „დინამოში" კი მიმიწვია მურთაზ ხურცილავამ, მაგრამ კონკრეტული პასუხი დინამოელთათვის არ მითქვამს. ვნახოთ, სადაც უკეთესი იქნება, იქ ვითამაშებ, ისრაელში კი აღარ დავბრუნდები, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები ლამის ყოველდღე მირეკავენ — გვითხრა კახა გოგიჩაიშვილმა, რომლის ბედსაც მისივე ყოფილი თანაგუნდელი ირაკლი ზოიძე იზიარებს. ზოიძის ამბავიც თვის ბოლოს გადაწყდება. „დინამოში" კი აღარ ვითამაშებო — მოგვიგო ფეხბურთელმა.



# ვიტალი დარასელია: ჩრდილიდან სამზეოზე

სპორტის არც ერთი სახეობა არ აღგვიძრავს ისეთ მძაფრ ნოსტალგიას, როგორსაც ფეხბურთი. ვინ იცის, რამდენჯერ მოგვენატრებია რომელიმე მატჩის ხელახლა ხილვა, ჩვენი საყვარელი ფეხბურთელების თამაშისთვის თვალის შევლება. საფეხბურთო განცდანი ხომ ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდებივით მუდამ გულში გვაქვს ჩარჩენილი.

1981 წლის ძლევამოსილი „დინამო“ და მისი ლეგენდა — ვიტალი დარასელია, კაცი, რომელმაც 13 მაისის საღამოს, გედის სიმღერა იმღერა „რაინშტადიონზე“ და იმ გოლთან, იმ უსაზღვრო სიხარულთან ერთად უზარმაზარი სევდა და მეორე, პატარა ვიტალი დაგვიტოვა. დღეს ვიტალი დარასელია-უმცროსი ფეხბურთელია — კიევის ცსკა-ში თამაშობს.

საერთოდ, დიდ ფეხბურთელთა შვილების ბედი, რთულია. რთულია მაშინ, როცა ისინიც ფეხბურთს გაჰყვებიან — ასეთებს მუდამ მამებს ადარებენ და, ერთი დიდი ქართველის შვილისა არ იყოს, თავს „დიდი ხის ძირში ამოსულ პატარა ყვავილად“ გრძნობენ.

ვიტალი დარასელიას მეუღლე, ქალბატონი მარინა ამბობს.

„ვიტალი დარასელიას შვილობა და მისი სახელის ტარება ტვირთიცაა და პასუხისმგებლობაც, მაგრამ მამაჩემის სახელს ბევრჯერ გაუკვალავს ჩემთვის გზა“.

სწორედ მამის დამსახურების გამო ხვდა წილად უდიდესი პატივი ქართული ფეხბურთის ისტორიაში — პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ბურთი თამაშში თორმეტი წლის ვიტალი დარასელიამ შეიყვანა. „დღესაც არ ვიცი, ვისი იდეა იყო ეს, ხეირიანად ვერც გავიაზრე მაშინ იმ დარტყმის მნიშვნელობა, მიხაროდა კი“.

ცხრამეტი წელი თანამედროვე ფეხბურთისთვის არც ისე ხელწამოსაკრავი ასაკია. ამჟამინდელი ვარსკვლავების უმეტესობას ოც წლამდე გასაკეთებელი უკვე გაკეთებული ჰქონდათ. ჩვენს პირობებში ძნელია, უმცროსი დარასელია ან რომელიც გნებავთ მისი ტოლი უცხოელ ვარსკვლავებს შეადარო, მაგრამ საზღვარგარეთელ ჭაბუკთა მაგალითი უფრო იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ვიტალი დარასელია-უმცროსის ჯერაც გაუხსნელი პოტენციალისთვის გაგვესვა ხაზი. პატარა დარასელია ისე აღმოჩნდა კიევის ცსკა-ში, ხეირიანად თამაშიც ვერ მოახერხა ქართულ სტადიონზე.



უმცროსი ვიტალი დარასელია მამის ჩრდილში ყოფნას არ აპირებს

ამ წერილის მიზანი დიდი და პატარა ვიტალი დარასელიების შედარება არ გახლავთ. გვსურს, უმცროსი დარასელიას პიროვნული პორტრეტი შემოგთავაზოთ. განა არ არის საინტერესო, ვინ არის იგი, რაზე ფიქრობს, რა სურს, რა — არა, დიდ ფეხბურთს ითამაშებს თუ დიდი ხის ძირში ამოსულ პატარა ყვავილად დარჩება.

ვიტალი დარასელია-უფროსი ოცდახუთი წლისაც არ იყო, ამ ქვეყნიდან რომ წავიდა. მაშინ პატარა ვიტალი სამი-ოთხი წლის თუ იქნებოდა. „ბუნდოვნად მახსოვს მამაჩემი. ერთი დღე კი ჩამრჩა გონებაში. „დინამოს“ ბაზაზე ვიყავით. მამას ხელში ვეჭირე და მეფერებოდა. უკვე მაშინ მსურდა ფეხბურთელობა. უბედურების დღემ კი ოჩამჩირეში გვიწია. ბებიასთან ვიჯექი და თამაშის მერე მამაჩემის ჩამოსვლას ველოდებოდით. მახსოვს, ვიღაც კაცი შემოვიდა და თქვა, ვიტალი დაიღუპაო.“

მერე კი წლები ერთმანეთს წაეწყო. დარასელია-უმცროსი მამის კვალს დაადგა. მის მაისურს თითქმის ყოველთვის ექვსიანი ეწერა, მაგრამ რამდენადაც სასიამოვნო იყო ეს დარასელია-უფროსის სიცოცხლეში, იმდენად უსიამოვნო გრძნობებს იწვევდა მისი გარდაცვალების შემდეგ. და ვიტალიმ, შეგნებულად, მეცხრე ნომერი ირჩია. „მამამისს რიცხვი ცამეტი უყვარდა საოცრად. ცამეტში დაიბადა, ცამეტში შევუღლდით, ცამეტი მაისიც ხომ გახსოვთ... ცამეტშივე გარდაიცვალა და მხოლოდ მეცამეტე დღეს მოვახერხეთ მისი პოვნა. ფატალურად სდევდა მთელი ცხოვრება ეს რიცხვი“ — ამას უფროსი

გარეგნულად იგი ალი-კვალი მამამისია, თუმცა სხვაობაც არის. ვიტალი-უფროსი უფრო ჩაფსკვნილი, ჯანმაგარი იყო, შვილი კი მამაზე შვიდი სანტიმეტრით მაღალია. ეს რაც შეეხება განსხვავებას. მსგავსება კი განსაკუთრებით ხასიათშია თვალშისაცემი.

**მარინა დარასელია:** „ძალიან ჰგავს მამას. მასავით მხიარულია, შეუძლია, მთელი დღე იხუმროს ყველაზე და ყველაფერზე. მამამისიც ასეთი იყო. ესეც იმასავით კეთილია. ბოლო სამოსს გაიძრობს და სხვას მისცემს. განსხვავებას უფრო მონდომებაში ვხედავ. დიდი ვიტალი ობლად იყო გაზრდილი და თვითონ, საკუთარი გარჯითა და შრომით, სხვის დაუხმარებლად შეიქმნა მომავალი. ვიტალი უფრო არხეინია, მამამისის პრობლემები მისთვის უცხოა. ალბათ ამიტომაც მამასავით მობილიზებული არ არის“.

უმცროსი დარასელიაც სწორედ ამაში ხედავს თავის უმთავრეს ნაკლს — „აი, დღესაც, როცა პროფესიონალი ფეხბურთელი მქვია, მიჭირს საკუთარ თავზე მუშაობა. თუ ვინმემ არ მიმითითა, არ მაჩვენა რაიმე — ჩემით არასდროს გავაკეთებ. სხვისი ჩარევის შემდეგ კი მიკვირს, ისე ადვილად მეჩვენება ყოველივე“.

კიევის ცსკა-ში ვიტალის მოხვედრა მთლიანად აზრიკ ცვეიბას დამსახურებაა. მან დარასელიებს მოსკოვიდან დაურეკა და კიეველთა გუნდში გასინჯვა შესთავაზა. „იქ კარგი ხალხი გელოდება. ბესონოვი და ლიტოვჩენკო მამაშენის მეგობრები იყვნენ“. ვიტალი-უმცროსი მეორე დღესვე გაემგზავრა კიევს.

ყველაფერი კი არცთუ იოლად დაიწყო. ისევ მარინა დარასელია იხსენებს. „ბესონოვი ვიტალის მეგობარი იყო, მაგრამ როცა საქმე სერიოზულ დონეზე კეთდება, მეგობრობა უკანა პლანზე გადადის. ამიტომაც მითხრა ბესმა პირველივე სინჯის მერე —მარინა, ეს რა არის, ასეთ ფეხბურთს უკვე დიდი ხანია, არავინ თამაშობს, მაგრამ იგი ნიჭიერია და ჩვენ მისგან ფეხბურთელს დავაყენებთო“. „ასეთ ფეხბურთში“ კი, როგორც ყოველთვის, ქართული ფეხბურთის „სავიზიტო ბარათი“ — სუსტი ფიზიკური მომზადება იგულისხმებოდა. მით უმეტეს, ბესონოვს ლობანოვსკის სკოლა აქვს გავლილი, სკოლა, რომელიც ფეხბურთელთა უნივერსალიზმსა და ზღვრამდე მისულ ფიზიკურ მომზადებას ეფუძნება. „წავიდა ის დრო, როცა სხვებს ტექნიკის წყალობით ვჯაბნიდით. ახლა ამით ველარავის გააკვირვებ, თუმცა ვთვლი, რომ სხვებისგან განსხვავებული ნიჭი ჯერაც შემოგვრჩა. ახლა მარტო ტექნიკით და ფინტით ვერავის აჯობებ. ამიტომაც იყო, პირველ ვარჯიშებზე ჩემი თავი რომ შემეცოდა — იმხელა სხვაობა იყო ჩემსა და მათ შორის. ერთი ხანობა სერიოზულად ვფიქრობდი, ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა“ — იხსენებს დარასელია-უმცროსი. მაგრამ მწვრთნელთა პროფესიონალიზმმა თავისი გაიტანა. ცსკა-ს მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე პეტრაკოვმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი ვიტალის ფიზიკური შესაძლებლობების გაძლიერებას. დატვირთვებს მიუჩვეველ ორგანიზმს წამებად ეჩვენა მწვრთნელის მეთოდები — ვიტალი საშინლად იღლებოდა, მობეზრდა კიდეც ყოველივე, მაგრამ ერთი რამ აჩერებდა ცსკა-ს ბაზაზე — არ შეეძლო, არ ეთამაშა, მამის ნაკვალევზე ბოლომდე უნდა ევლო — თუნდაც მარტო მისი ხსოვნის გამო. შედეგი კი ძალიან მალე მოვიდა. უკრაინის მეექვსე ჩემპიონატის მეორე წრეში ლუცკის „ვოლინასთან“ გასვლით მატჩში შედგა ვიტალი დარასელიას დებიუტი სასტარტო შემადგენლობაში. დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა — მისმა თამაშმა ყველა მოხიბლა. ქება და თბილი სიტყვები არავინ დაიშურა — „ეტყობა, მეტიც მოუვიდათ — მეორე თამაში გაცილებით ცუდად ჩავატარე. ამის შემდეგ მივხვდი — არასოდეს უნდა მოდუნდე, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ქებით განებივრებენ.“

ჟიტომირის „პოლესთან“ ვიტალიმ თავისი პირველი ჰეთ თრიქიც შეაგდო. მის წარმატებებს ადასტურებს ისიც, რომ უკვე უცხოური მიწვევებიც გაუჩნდა. „მქონდა ორი-სამი მიწვევა, მაგრამ ცსკა-ს მწვრთნელებმა სადღეისოდ არ ჩათვალეს საჭიროდ ჩემი გუნდიდან გაშვება, უკრაინის ფეხბურთში ჯერაც შეგიძლია გაიზარდოო“.

მოთამაშე, რომელიც თვეობით ვერ ხვდებოდა „ბათუმის“ ძირითად შემადგენლობაში, ამჟამად უკრაინის საშუალო გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურაა და ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა... ამ სიტყვების დასტურად გაზეთ „უკრაინსკი ფუტბოლის“ ერთი პუბლიკაციის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: „მას შემდეგ, რაც ანგარიში 2:0 გახდა, სტუმრები დამშვიდდნენ და ჯეროვნად არ შეხვდნენ მოედანზე ცსკა-ს ქართველი ლეგიონერის, 80-იანი წლების თბილისის „დინამოს“ უპოპულარულესი ნახევარმცველის ვიტალი დარასელიას ვაჟის გამოჩენას. სწორედ არმიელთა ახალწვეულმა მოატრიალა მატჩის ბედი ცსკა-ს სასიკეთოდ. შეხვედრის დასასრულამდე ათი წუთით ადრე ოლეინიკმა ერთი გოლი გაქვითა. აქ კი კიეველთა მწვრთნელების უკანასკნელი კოზირი — ქართველი ლეგიონერი ამოქმედდა. თავდაპირველად იმარჯვა და დასარტყმელ პოზიციაზე კრიპაკი გაიყვანა. მასაც გატანის მეტი აღარა დარჩენოდა. ანგარიში გათანაბრდა. იმ დროს კი, როცა მსაჯი წამმზომს დაჰყურებდა, ცხრამეტი წლის ნახევარმცველი სწრაფი დრიბლინგით მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, სამ მცველს თავბრუ დაახვია, გამოიტყუა მეკარე და ბურთი მახვილი კუთხიდან კარში შეაგორა. ჭეშმარიტად საფეხბურთო შედევრი ვიხილეთ ვიტალი დარასელიას შესრულებით!“ ეს როგორღაც არა ჰგავს იმ ფეხბურთელის შეფასებას, „ბათუმის“ ძირითადში რომ ვერ ხვდებოდა.

ამას კიევურ ტრიბუნებზეც ხვდებიან „დროა, ამ ბიჭმა ძირითადში ითამაშოს, იგი ამის ღირსია“. მაშ ასე, დარასელია ნელ-ნელა გამოდის მამის ჩრდილიდან.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



# საფრანგეთს ამ ბიჭის იმედი აქვს

თბილისში სტუმრად იმყოფება 15 წლის ფრანგი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი ეტიენ ბაკრო. იგი ორიოდე კვირით ჩამოვიდა თბილისში და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის ოჯახს სტუმრობს. ჭადრაკის ქართველ მოყვარულებს ეხსომებათ, რომ სწორედ ეს ვუნდერკინდი იყო დიდოსტატ გია გიორგაძის პირველი მეტოქე შარშან ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში ფიდეს ეგიდით გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ფრანგებს ეს ბიჭი მათი ჭადრაკის იმედად შეუგულებიათ და ქვეყანაში ჭადრაკის განვითარების საგანგებო პროგრამაც მასზე აქვთ გათვლილი.



ეტიენ ბაკრო

დაიბადა 1983 წლის 22 იანვარს. ჭადრაკის თამაში ოთხი წლისამ დაიწყო. 1993 წელს გახდა 10 წლამდე მოჭადრაკეთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი. ეს შედეგი გაიმეორა ორი წლის შემდეგაც 12 წლამდელებში როგორც ჩვეულებრივ, ისე სწრაფ ჭადრაკში. იმავე წელს მიენიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება, 1997 წლიდან კი საერთაშორისო დიდოსტატია. წლეულს მოიგო კანის საერთაშორისო ტურნირი, თბილისში წამოსვლამდე კი 6 პარტიისგან შემდგარ მატჩში შეხვდა გერმანელ დიდოსტატ რობერტ ჰიუბნერს და 3,5:2,5 მოუგო, რისთვისაც ამ მამისტოლა კაცზე 5 ათასი დოლარით მეტი მიიღო. ეტიენმა ჩინებულად იასპარეზა ორი წლის წინ ერევანში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზეც და +4-ით დაამთავრა ტურნირი.

ეტიენის ოჯახი პარიზიდან 120 კილომეტრით დაშორებულ პატარა სოფელ მერიკურში ცხოვრობს. მამა — სტეფან ბაკრო არქიტექტორია, თან ჟურნალისტობს კიდეც. დედა მარი პიერი დიასახლისია და, როგორც ზურაბ აზმაიფარაშვილის მეუღლემ, ქალბატონმა მარინა მილორავამ გვითხრა, ქართველი ქალივით უმეტეს დროს სამზარეულოში ატარებს. ბაკროებს ჰყავთ მეორე შვილიც — 13 წლის გოგონა სევერინა. ეტიენი თავისუფლად ლაპარკობს ინგლისურადაც და ცდილობს ისწავლოს რუსულიც.

ჯერაც ყმაწვილი ფრანგი დიდოსტატის სანახავად ჭადრაკის სასახლეს მივაკითხეთ. ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა გვითხრა, ჩემს შვილებთან ერთად ქალაქს ათვალიერებს, სადაცაა, გამოჩნდებიანო. მართლაც, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ბატონ ზურაბის კაბინეტში მორცხვი ფრანგი ბიჭი ელენესთან და უმცროს ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად შემოვიდა. ფუნიკულიორზე ტრამვაით ასულან, პანთეონის გაჩერებაზე ვაგონი გაჩერებულა და ფრანგს 600-მდე კიბის ავლა სულაც არ უუარია. საუბარს მის სამშობლოში მიმდინარე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატით ვიწყებთ. ინგლისურიდან თარჯიმნობა აზმაიფარაშვილის ქალ-ვაჟმა ითავა.

**— ეტიენ, დღეს ლამის მთელი მსოფლიო საფრანგეთშია, შენ კი საქართველოში ჩამოხვედი. ფეხბურთი არ გიყვარს?**

— რას ვიზამ, ასე მოხდა. ფეხბურთი კი ძალიან მიყვარს. 4 ივლისს ისევ პარიზში უნდა ვიყო. მეოთხედფინალურ, ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს ჩავუსწრებ.

**— ფრანგების გარდა კიდევ ვის ქომაგობ?**

— მე, საერთოდ, ინგლისის გულშემატკივარი ვარ, თუმცა, წესით, ცხადია, ფრანგებს უნდა ვქომაგობდე.

**— როგორი გუნდი ჰყავთ ფრანგებს?**

— ბურთი კი ბევრი გააქვთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს.

**— შენი აზრით, ფინალში ვინ გავა?**

— ვისურვებდი, რომ ფინალში ფრანგებს და ინგლისელებს ეთამაშათ.

**— მოდი, ახლა ჭადრაკზე ვისაუბროთ. რამდენ საათს უთმობს ეტიენ ბაკრო ყოველდღიურად ჭადრაკს?**

— თუ მწვრთნელებთან ერთად ვმუშაობ — 7-8 საათს, თუ მარტო — 2-3-ს.

**— რამდენ ხანს ატარებ კომპიუტერთან?**

— 5 წლის ვიყავი, საკუთარი კომპიუტერი რომ მქონდა. ვითარებას კი გააჩნია, მაგრამ კომპიუტერსაც საკმაო ხანს ვუზივარ.

**— ელისტაში, საჭადრაკო ოლიმპიადაზე თუ აპირებ გამოსვლას?**

— ალბათ არა. ლოტიე და კიდევ ერთი დიდოსტატი პირდაპირ ჩართეს საფრანგეთის ოლიმპიურ გუნდში, მე კი ამის უფლება საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილეობით უნდა დამემტკიცებინა. ჩემი უკმაყოფილება იმით გამოვხატე, რომ უარი განვაცხადე ქვეყნის პირველობაში მონაწილეობაზე.

**— ქართველი მოჭადრაკეებიდან ვის შეხვედრიხარ?**

— გია გიორგაძესთან შარშან გრონინგენში დამატებით პარტიაში წავაგე. აზმაიფარაშვილს ოფიციალურ დონეზე არ შევხვედრივარ. ქალებთან სულ ერთი პარტია მაქვს წაგებული ამ ოთხი წლის წინ და ისიც თქვენს იოსელიანთან. ჩემი თანატოლებიდან მითამაშია ვალერი გაფრინდაშვილთან, ერთი პარტია მოვუგე, ერთიც ყაიმით დავამთავრეთ.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ? სპორტის სხვა რომელი სახეობები გიყვარს?**

— თავისუფალ დროს ან მეგობრებში ვატარებ, ანაც სპორტს ვუთმობ. მიყვარს ფეხბურთი, ჩოგბურთი, ცურვა...

თბილისში ეტიენმა ჩოგბურთის კორტებზეც მოასწრო ყოფნა და ცურვითაც იჯერა გული „ლაგუნა ვერეში“, ხოლო ფეხბურთის თამაშისას კარში დგომა ჰყვარებია და საგანგებოდ ხელთათმანებიც წამოუღია.

საუბრის ბოლოს ზურაბ აზმაიფარაშვილმა ეტიენ ბაკროს ბლიც-პარტიები შესთავაზა. ფრანგმა პირველ პარტიაში თეთრებით ყაიმს მიაღწია, შავებით დამარცხდა. შემდეგ პრეზიდენტმა ადგილი ვიცე-პრეზიდენტ კახი ჩიგოგიძეს დაუთმო. ეტიენმა შავებით ყაიმი ითამაშა, თეთრებით მოიგო და კმაყოფილიც დარჩა. 27-ში ჩვენი მოჭადრაკე ვაჟების ნაკრები ჩაქვში უნდა გაემგზავროს შეკრებაზე და აპირებენ, ეტიენიც თან გაიყოლონ სპარინგ-პარტნიორად. როგორც გულნაკლულმა ფედერაციის პრეზიდენტმა გვითხრა, ჩაქვში შესაკრებად საჭირო თანხიდან ჯერ ერთი თეთრიც არ ჩარიცხულა, ვეძებ სპონსორებსაც, მინდა ვისარგებლო ეტიენის თბილისში ყოფნით და რაიმე ტურნირიც გავმართო, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი მცდელობა უშედეგოაო.

**ზურაბ ტაბატაძე**



ეტიენ ბაკრო თბილისელ მეგობრებთან, ელენე და ზურაბ აზმაიფარაშვილებთან








დღეს სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბში სეზონის მესამე და საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე პრესტიჟული დიდი სლემის ტურნირი — უიმბლდონი იწყება. მთელი 12 თვის განმავლობაში მოვლილ-ნასათუთევ მწვანე საფარს უახლოესი 14 დღის მანძილზე სახელისა და საპრიზოების მაძიებელ თეთრტრუსმაისურიანთა არმია გადათელავს, რომელთა საერთო მიზანი შვიდი მოგების შემდეგ ნანატრი ჯილდოს დასაკუთრებაა, გამარჯვებულებს კენტის ჰერცოგი რომ გადასცემს.

# ნუ იქნება ოღონდ წვიმა

როდესაც 1877 წელს კლუბის ძველ რეზიდენციაში, „უორფალ როუდ გრაუნდზე" უიმბლდონის პირველი ჩემპიონატი დაიწყო, 22 ჩოგბურთელი კაცის ჯახირს (ქალებისთვის პირველი პირველობა მხოლოდ 1884-ში ჩატარდა) 200 კაცი ადევნებდა თვალყურს, რომელთაგან დაჯდომის პატივით მხოლოდ 30 სარგებლობდა. ტურნირის თითოეულ მონაწილეს თავად უნდა დაედო გარკვეული თანხა, რათა მათთვის გამოყოფილი 180 ბურთისა და კორტისთვის მიყენებული ზიანის ხარჯები აენაზღაურებინა. პირველ ჩემპიონს კი, ვინმე ინგლისელ სპენსერ გორს, ოფლის ღვრა და გარჯა სულ 12 გინეად დაუფასდა, ფინალისტს — სულაც 7 გინეად.




მას შემდეგ თვით მსოფლიოს ყველაზე კონსერვატული ტურნირიც კი უამრავი ცვლილებებისა თუ გამორჩეული მოვლენის ასპარეზი გახლდათ: იქნებოდა ეს სამხრეთაფრიკელი რუთ ტეპსკოტის რევოლუციური უწინდებოდ ასპარეზობა 1927-ში თუ ინგლისელი ბანი ოსტინის ფართხუნა შარვლის ნაცვლად შორტებით თამაში 1933-ში; უპირატესად თეთრი სამოსით გამოსვლის მოთხოვნა 1963-ში თუ პროფესიონალების დაშვება 1968-ში, ჩვენთვის დასამახსოვრებელი 1973 — ჩოგბურთელთა უმეტესობის ბოიკოტი ნიკი პილიჩის მოკვეთის გამო და პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ქართველის ასპარეზობა დიდი სლემის ტურნირის ფინალში (ალექსანდრე მეტრეველი ჩეხ იან კოდეშთან მარცხდება 1:6, 8:9,


შტეფი გრაფი ისევ დიდ გულზეა

3:6) ცენტრალურ კორტზე გერმანული ყუმბარის აფეთქება 1940-ში და იქვე სრულიად შიშველი ლამაზმანის განავარდება კაცების ფინალის წინ 1996-ში.

ამჟამად უიმბლდონი უპირველეს საჩოგბურთო ტურნირთან ერთად დიდ ბიზნესსაც წარმოადგენს. საფრანგეთში მიმდინარე ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის კონკურენციის მიუხედავად, წლეულს აქ 400 ათასზე მეტ მაყურებელს, პრესისა და ოფიციოზის წარმომადგენელს ელიან, რეპორტაჟებს „ჩერჩ როუდიდან" რამდენიმე ასეული მილიონი კაცი იხილავს 100-ზე მეტ ქვეყანაში, კაცების გამარჯვებული კი 435 ათასი გირვანქით გამდიდრდება (ქალებისა — 391 500-ით).

უიმბლდონზე თამაშს თავისი განსაკუთრებულობები ახასიათებს: ბალახის უსწრაფესი საფარი უკანა ხაზიდან გრძელ გათამაშებებს შეუძლებელს ხდის, აქ განსაკუთრებით მძლავრი მოწოდება და ბადესთან ხეირიანი თამაში ფასობს, რის გამოც ესპანელი მოთიხნარეებისგან, როლან გაროსისგან განსხვავებით, ბევრს არაფერს უნდა ელოდე. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე დღის თამაშის შემდეგ კორტებზე ბალახი ბევრ ადგილას საერთოდ აღარ რჩება-ხოლმე და ასპარეზობის მეორე კვირისთვის ტურნირს შემორჩენილ იღბლიან უკანახაზელებსაც უჩნდებათ თავის გამოჩენის შანსები (როგორც ანდრე აგასის 1992-ში).

## ფავორიტები

ბოლოს 10 წლის გამარჯვებული კაცები

1988 სტეფან ედბერგი — ბორის ბეკერი 4:6, 7:6, 6:4, 6:2
1989 ბეკერი — ედბერგი 6:0, 7:6, 6:4
1990 ედბერგი — ბეკერი 6:2, 6:2, 3:6, 3:6, 6:4
1991 მიხაელ შტიხი — ბეკერი 6:4, 7:6, 6:4
1992 აგასი — გორან ივანიშევიჩი 6:7, 6:4, 6:4, 1:6, 6:4
1993 პიტ სამპრასი — ჯიმ კურიე 7:6, 7:6, 3:6, 6:3
1994 საპრასი — ივანიშევიჩი 7:6, 7:6, 6:0
1995 სამპრასი — ბეკერი 6:7, 6:2, 6:4, 6:2
1996 რიჩარდ კრაიჩეკი — მალივაი ვაშინგტონი 6:3, 6:4, 6:3
1997 სამპრასი — სედრიკ პიოლინი 6:4, 6:2, 6:4

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ტურნირის ოთხგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი უიმბლდონის უცილობელი და ლამის ერთადერთი ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ ამერიკელის ბოლოდროინდელი წარუმატებლობები მის თამაშში დამდგარ აშკარა კრიზისზე მიანიშნებს (აბა, როგორ უნდა ახსნა სანტოროსთან 1:6, 1:6 წაგება და როლან გაროსზე ვინმე დელგადოსთან — მსოფლიოს 98-ე ჩოგანთან გავარდნა). ასე რომ პიტისთვის წლევანდელ უიმბლდონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — კიდევ ერთი წარუმატებლობა და მას შეუძლია ზედიზედ მეექვსედ წლის ბოლოს პირველობაზე ოცნებასაც კი შეეშვას, რადგან ლონდონიდან ვადამდე აბარგების შემთხვევაში „მისტერ ტენისი" შეიძლება საუკეთესო ხუთეულიდანაც კი გავარდეს. თავად პიტი თავის ცუდ შედეგებს მოტივაციის არქონას მიაწერს, თუმცა უიმბლდონი მისთვის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს: „უიმბლდონისთვის მოტივაციის პრობლემა არასოდეს მაქვს. ორშაბათის 2 საათი დადგება (ტურნირის გახსნის დრო) და მეც თავს მაშინვე შინ ვიგრძნობ."

სამპრასთან ერთად წლევანდელი უიმბლდონის ძირითად ფავორიტებად გრეგ რუზეცკი და რიჩარდ კრაიჩეკი ითვლებოდნენ, თუმცა ერთმაც და მეორემაც რამდენიმე დღის წინ ტრავმები მიიღეს და მოგება კი არა, მონაწილეობაც კი სათუოდ აქვთ ქცეული. სხვებს რაც შეეხებათ, მარსელო რიოსი ბალახს არასდროს წყალობდა, პეტერ კორდა ძალიან ცუდ ფორმაშია, პატრიკ რაფტერსა და ევგენი კაფელნიკოვს თავდაჯერების ნაკლებობა ტანჯავთ, ბევრის აზრით ამ უიმბლდონს სულაც მასპინძელთა კერპი ტიმ ჰენმანი მოიგებს, მოკლედ, რა მოხდება, წინასწარ კაცი ვერ იტყვის.

ქალების ბოლო 10 წლის გამარჯვებულები

1988 შტეფი გრაფი — მარტინა ნავრატილოვა 5:7, 6:2, 6:1
1989 გრაფი — ნავრატილოვა 6:2, 6:7, 6:1
1990 ნავრატილოვა — ზინა გარისონი 6:4, 6:1
1991 გრაფი — გაბრიელა საბატინი 6:4, 3:6, 8:6
1992 გრაფი — მონიკა სელეში 6:2, 6:1
1993 გრაფი — იანა ნოვოტნა 7:6, 1:6, 6:4
1994 კონჩიტა მარტინესი — ნავრატილოვა 6:4, 3:6, 6:3
1995 გრაფი — არანჩა სანჩეს ვიკარიო 4:6, 6:1, 7:5
1996 გრაფი — სანჩეს ვიკარიო 6:3, 7:5
1997 მარტინა ჰინგისი — ნოვოტნა 2:6, 6:3, 6:3

ქალების ჩემპიონატი წლეულს კაცებისაზე გაცილებით მეტ ყურადღებას იპყრობს: გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად, შარშანდელისა არ იყოს, ისევ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი ითვლება, მაგრამ მას ამჯერად უჩვეულოდ ბევრი კონკურენტი ჰყავს — ერთი მხრივ, ნიჭიერი თანატოლების — დები უილიამსების, ანა კურნიკოვას, მირიანა ლუჩიჩის, მეორე მხრივ, კი ძველი გვარდიის — როლან გაროსის ჩემპიონ არანჩა სანჩეს ვიკარიოს, შარშანდელი ფინალისტის იანა ნოვოტნას, მონიკა სელეშის სახით. და რაც მთავარია, გასული სეზონისგან განსხვავებით, უიმბლდონში წელს ტურნირის შვიდგზის გამარჯვებული შტეფი გრაფიც იასპარეზებს. შეიძლება დიდ გერმანელს კარიერის საუკეთესო წლები მართლაც უკან ჰქონდეს მოტოვებული, მაგრამ მასვე თუ ვერწმუნებით, უიმბლდონის მოგების შანსი რომ არ ჰქონოდა, ამდენი ტრავმის შემდეგ ჩოგბურთში მობრუნებას აღარც კი შეეცდებოდა.

ახლა მთავარია ლონდონური ამინდი შარშანდელივით არ გაჭირვეულდეს და თამაშის ნაცვლად კორტებზე ბრეზენტის მალიმალ მოხსნა-გადაფარება არ გაგვიხდეს საცქერი.

**ავთანდილ სვანიძე**

1/32, 1/16, 1/8, 1/4, 1/2

- სამპრასი (1) — ჰრბატი
- ტილსტრომი — რადულესკუ
- ნესტორი — ენკვისტი
- დრეიპერი — შუტლერი
- ალამი — მაკფი
- დამი — გროსჟანი
- ვაცეკი — გროსი
- ვან გარსი — მანტია (16)
- კორეტხა (10) — გიმელშტობი
- ნიპშილდი — ვუდფორდი
- ჰაარჰიუსი — ტარანგო
- კუერტენი — სტოლტენბერგი
- არნოლდი — ულირახი
- ბრაჩალი — ლი
- ობრაიენი — კარლსენი
- ფილიპუსისი — კაფელნიკოვი (7)
- კორდა (3) — სანჩესი
- კემპბელი — დევულფი
- სეპსფორდი — გოლმარი
- უიტონი — ესკუდე
- ლარო — რენებერგი
- ვან ლოტუმი — რაუქსი
- ჰაასი — დელგადო
- კალატრავა — აგასი (13)
- ჰენმანი (12) — ნოვაკი
- კეტოლა — ნაანკინი
- გემბილი — შალკენი
- ბ. ბლექი — ფრომბერგი
- პეჩი — გუსტაფსონი
- ვილოკა — ჩანგი
- ნიდალი — გუმი
- ჰოიბერგერი — რაფტერი (6)
- მოია (5) — ბჰუპატი
- რიჩარდსონი — არაზი
- სარგსიანი — პორტასი
- ფილიპინი — ლარსონი
- ლაპენტი — პრინოშილი
- სიმერინკი — დოსედელი
- პასკოსოლიდო — მარინი
- დილუჩია — ბიორკმანი (11)
- ივანიშევი (14) — სტაფორდი
- საფინი — მედვედევი
- პოცი — ვაჩეკი
- ბურლიო — გელნერი
- ვუდბრიჯი — ბლანკო
- უ. ბლექი — პაესი
- მარტინი — სა
- დრეიპერი — რუზეცკი (4)
- პიოლინი (8) — როსე
- ნოულსი — უილკინსონი
- ნორმანი — კოსტა
- კლემანი — ფერერა
- ალონსო — კიფერი
- დრეეკმანი — კოუენი
- გოდვინი — პესკარიუ
- სტივენი — კრაიჩეკი (9)
- კუჩერა (15) — ვოლჩკოვი
- მაკგუაიარი — ტებუტი
- პუერტა — სკილარი
- სანგვინეტი — ჰერკი
- პაველი — სპადეა
- კურიე — იოჰანსონი
- სინერი — კანასი
- კლავეტი — რიოსი (2)

1/32, 1/16, 1/8, 1/4, 1/2

- ჰინგისი (1) — რეიმონდი
- მაკაროვა — შერჩეული
- პერფეტი — ხლადკოვა
- იოშიდა — ლიხოვცევა
- კროსი — უორდი
- ტანასუგარნი — ჰრდლიჩკოვა
- შერჩეული — ჯეიასლანი
- სუკოვა — შნიდერი (13)
- ვან რუსტი (15) — კრუგერი
- დეში — მილერი
- ლატიმარი — კანდარი
- აპელმანსი — ტორენს-ვალერო
- ლი — ვუდროფი
- სუგიამა — პლიჩკე
- გრჟიბოვსკა — დრაგომირი
- კრისტეა — სანჩეს ვიკარიო (5)
- ნოვოტნა (3) — კლეინოვა
- გალიარდი — პანოვა
- იბულე — ბაბელი
- მორარიუ — მარუშკა
- შერჩეული — გოროჩატეგი
- ბრენდი — ვანგი
- რიტნერი — კოშტო
- ლუბიანი — სპირლეა (10)
- კურნიკოვა (12) — პო
- გლასი — პასკუალი
- გოლარსა — ს. უილიამსი
- სმეშნოვა — ლუჩიჩი
- ნილსენი — რუბინი
- სნიდერი — ნემეჩკოვა
- შეტი — სტოიანოვა
- ნეიდლი — ვ. უილიამსი (7)
- სელეში (6) — სანჩეს ლორენსო
- ფუზაი — სტუდენიკოვა
- ბაზუკი — რივსი
- მორესმო — შერჩეული
- პრატი — კაპრიატი
- მაკნილი — შერჩეული
- ნორლანდერი — ლუგინა
- შერჩეული — ტესტიუ (14)
- პირსი (11) — ტატარკოვა
- შვარცი — შვარდტი
- გერსი — კარლსონი
- ვაგნერი — ორემანსი
- მიიაგი — პულინი
- ზვერევა — მაკქუილანი
- ნაგიოვა — ფრეზერი
- გარსია — გრაფი (4)
- მარტინესი (8) — ფარინა
- ბუგერტი — საეკი
- დიას ოლივა — სუარესი
- სიდო — სმიტი
- პარკი — ალარი
- ბარაბანშიკოვა — დეშომ-ბალრე
- მაიოლი — ჰაბსუდოვა
- შერჩეული — ტოზია (16)
- კუტცერი (9) — გიუზი
- სავამცუ — პაულუსი
- ფ. ლი — გრანდე
- სერნა — შერჩეული
- ჟირარდი-რუბი — კიჯიმუტა
- ვენტო — საკიჩი
- პიტკოვსკი — ნეილანდი
- ლაბატი — დევენპორტი (2)

## გოლები

4 — გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

3 — მარსელო სალასი (ჩილე), კრისტიან ვიერი (იტალია)

2 — ლუის ერნანდესი (მექსიკა), ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა)

1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), რობერტო ბაჯო (იტალია), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ჰ. ფლო (ნორვეგია), ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ბებეტო (ბრაზილია), ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), დეიან სტანკოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), მიხაელ ტარნატი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ)

## ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი)

## წითელი ბარათები

### B ჯგუფი

კამერუნი — რაიმონდ კალა

### C ჯგუფი

დანია — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
ს. აფრიკა — ალფრედ პირი
საფრანგეთი — ზინედინ ზიდანი
საუდეთი — მუჰამედ ალ ხალაივი

### D ჯგუფი

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი

### E ჯგუფი

კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი
ბელგია — გერტ ვერჰეინი
მექსიკა — პაველ პარდო

### H ჯგუფი

იამაიკა — დერილ პაუელი

## ყვითელი ბარათები

### A ჯგუფი

ბრაზილია — სეზარ სამპაიო 2, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო
შოტლანდია — დარენ ჯეკსონი 2, გორდონ დიური
მაროკო — საიდ ჩიბა 2, აბდელჯალილ ჰადა
ნორვეგია — ჰენინგ ბერგი, კეტილ რეკდალი

### B ჯგუფი

ჩილე — ნელსონ პარაგუსი, კლარენს აკუნია, ფრანსისკო როხასი, მარსელო სალასი, მოისეს ვილიაროელი, ივან სამორანო, ფაბიენ ესტეი
იტალია — ანჯელო დი ლივიო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიჯი დი ბიაჯო
ავსტრია — ანტონ პფეფერი, პეტერ შოტელი
კამერუნი — სამუელ იპუა, პიერ ვომე, პიერ ნჯანკა, დიდიე ანგიბედო, რიგობერტ სონგი

### C ჯგუფი

დანია — მორტენ ვიგჰორსტი, მარკ რიპერი, ალან ნილსენი, მიჰაელ შიონბერგი, იეს ჰოგი, პეტერ შმაიხელი
საფრანგეთი — ემანუელ პეტი, დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, ბიქსენტე ლისარასუ
საუდეთი — ხალიდ ალ მუვალიდი, მუჰამედ ალ ჯაჰანი, სამი ალ ჯაბერი
ს. აფრიკა — ვილემ ჯეკსონი, დავიდ ნიატი, პიერ ისა, ალფრედ პირი, ლუკას რადებე

### D ჯგუფი

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ტრიფონ ივანოვი, ილიან ილიევი, რადოსტინ კიშიშევი
ესპანეთი — გილერმო ამორი, მიგელ ანხელ ნადალი, ივან კამპო, სერხი, კიკო ნარვაესი
პარაგვაი — მიგელ ბენიტესი, სელსო აიალა, ფრანსისკო არსე
ნიგერია — უჩე ოკეჩუკვუ 2, მუტიუ ადეპოჟუ, ვიკტორ იკპება, ჯეი-ჯეი ოკოჩა

### E ჯგუფი

მექსიკა — ხაიმე ორდიალესი, ალბერტო გარსია ასპე, ხესუს რამირესი
ბელგია — ლორენცო სტალენსი, ერიკ დეფლენდრე, გორდან ვიდოვიჩი
კორეა — ჩოი იონგ სო, კო იონგ სო

### F ჯგუფი

იუგოსლავია — ზელიკო პეტროვიჩი, დრაგან სტოიკოვიჩი
გერმანია — იენს იერემისი, დიტმარ ჰამანი, იორგ ჰაინრიხი, ლოტარ მათეუსი
აშშ — ფრენკი ჰეიდუკი, ედი პოუპი, დევიდ რეჯისი
ირანი — მერდად მინავადი, ჯავად ზარინშეჰი

### G ჯგუფი

ტუნისი — ხოსე კლეიტონი, იმედ ბენ ინეში, კაის გოდბენი
რუმინეთი — იულიან ფილიპესკუ, დორინელ მუნტეანუ, დან პეტრესკუ
ინგლისი — სოლ კემპბელი
კოლუმბია — ხოსე სანტა

### H ჯგუფი

იაპონია — ისუკე ნაკანიში 2, მასამი იჰარა, ტაკაში ჰირანო, ჰიროში ნანამი, იაკატა აკიტა
ხორვატია — ზვონიმირ სოლდო, დარიო სიმიჩი, რობერტ პროსინეჩკი, მარიო სტანიჩი
იამაიკა — დეონ ბარტონი, დერილ პაუელი, პეტერ კერჯილი
არგენტინა — ხოსე შამოტი

# პლატინიმ დაბადების დღეც გადაიხადა



წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, საფრანგეთის ნაკრების ლიდერი და კაპიტანი მიშელ პლატინი, რომელიც მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობს, გუშინ 43 წლისა გახდა. თავისი იუბილე მან მთლიანად ფეხბურთს მიუძღვნა: ლანსში გერმანიისა და იუგოსლავიის ნაკრებთა ორთაბრძოლას დაესწრო, შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქს მიაშურა და არგენტინელთა და იამაიკელთა შეხვედრას უცქირა. მესამე მატჩი კი, აშშ — ირანი, პარიზიდან ძალიან შორს, ლიონში გაიმართა, ამიტომ პლატინიმ იქ წასვლისგან თავი შეიკავა და საღამო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გაატარა. თუმცა ზემოხსენებულ შეხვედრას ტელევიზიით მაინც ადევნა თვალყური.

# იცით თუ არა, რომ...

...პარასკევს გამართულ ორ შეხვედრაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი დღის განმავლობაში ყველაზე ცოტა, ერთი გოლი გავიდა, შაბათს ფეხბურთელებმა თავი გამოიდეს და სამ მატჩში ათი გაიტანეს, გუშინ კი დღემდე სარეკორდო — 12 გოლი ვიხილეთ.

* * *

...ჰოლანდიის ნაკრებმა გუშინწინ თავის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მათ სამხრეთკორეელებს სძლიეს 5:0 და თანაც ხუთივე გოლი სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა. და კიდევ: ჰოლანდიელებმა 1978 წლიდან მოყოლებული, პირველად მოახერხეს ხუთი ბურთის შეგდება. მაშინ მათ ასვტრიას მოუგეს 5:1.

* * *

...ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეოთხე მატჩში შეძლო გოლის გატანა მაშინ, როდესაც იგი სასტარტო შემადგენლობაში იმყოფებოდა. 1994 წელს მან მიყოლებით მაროკოს, ირლანდიას და ბრაზილიას გაუტანა, ხოლო ახლა, 20 ივნისს, სამხრეთ კორეას. მართალია, მან ბელგიის ნაკრებთანაც იასპარეზა, მაგრამ მაშინ იგი შეცვლაზე გამოვიდა.

* * *

...1954 წლის შემდეგ კორეელებმა წელს ყველაზე დიდი ანგარიშით წააგეს. მაშინ, შვეიცარიის სტადიონებზე ისინი ჯერ უნგრეთთან დამარცხდნენ 0:9, ხოლო შემდეგ თურქეთთან — 0:7.

* * *

...ბოლო ოცი წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე მექსიკელები რვაჯერ შეხვდნენ ევროპულ გუნდებს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ — 1994 წელს ნორვეგიელებთან.

* * *

...ბელგიის ნაკრებმა ფინალურ ეტაპზე მექსიკელებთან ფრედ პირველად ითამაშა. წინა ორი შეხვედრა მექსიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაიმართა და ორივეში ევროპელები დამარცხდნენ — 1970 წელს 0:1, 1986 წელს — 1:2.

* * *

...ხორვატიის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მონაწილეობს და ორი ჩატარებული შეხვედრიდან ორივეში გამარჯვებას მიაღწია — იამაიკასთან 3:1, იაპონიასთან — 1:0.



იამაიკის ნაკრები თამაშით ვერა, მაგრამ თავისი ნამდვილი ემხიან-ეგზოტიკური გულშემატკივარი ქალებით ნამდვილად იპყრობს საყოველთაო ყურადღებას

# მინდორზე ნუ გაშიშვლდებით!

ფიფას წარმომადგენელმა შაბათს სიახლე ამცნო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ფეხბურთელებს. „მოთამაშეებს, რა თქმა უნდა, თამაშის დამთავრების შემდეგ შეუძლიათ მაისურები ერთმანეთში გაცვალონ, მაგრამ ფიფა ყველას ურჩევს, მაისურები მინდორზე ყოფნისას არ გაიხადონ და სამოსის გაცვლის ცერემონიალი გასახდელ ოთახებში შეასრულონ“ — განაცხადა ერთ-ერთმა დიდმოხელემ. ისე, საოცარი კაცია ეს ზეპ ბლატერი. ფიფას პრეზიდენტად სულ ახალი დანიშნულია, მაგრამ მაინც მოასწრო თავის გამოჩენა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომავალშიც აპირებს გლობალური საფეხბურთო ცვლილებების განხორციელებას. შვეიცარიელმა ჯერ იყო და მსოფლიოს ჩემპიონატის მომსახურე არბიტრები შერისხა, უკნიდან ბურთის უხეშადართმევის მიღებული წესი მკაცრად დაიცავით, თორემ საშინელ დღეს დაგაყრითო. ბლატერმა ახლა ფეხბურთელებს შორის ოდითგანვე დამკვიდრებული ლამაზი და უწყინარი ჩვეულების შეცვლა მოინდომა. იმაზეც კი საუბრობდნენ, რომ ურჩი მოთამაშეებისთვის, ვინც ფიფას არ დამორჩილდებოდა და მოედანზე წელსზემოთ მაინც გაშიშვლდებოდა, მკაცრი სასჯელი დაეკისრებინათ. თუმცა ჯერჯერობით ეს საფეხბურთო ორგანიზაცია მდგომარეობას უკიდურესად არ ძაბავს და ამ აკრძალვასაც უფრო რჩევის სახე ჰქონდა.

— რა თქმა უნდა, სასურველია, ფეხბურთელებმა მატჩის შემდეგ ტანთ არ გაიხადონ და მოედანზე ორგანიზებულად, წესიერად გამოიყურებოდნენ. მაგრამ არის ერთი წინააღმდეგობა. საფრანგეთში ყველა გუნდის მაისურზე განსაკუთრებული ლოგოა ამოქარგული და მოთამაშეებს ძალიან სურთ, ამ ლოგოთი დამშვენებული მოწინააღმდეგის ფორმა შინ სუვენირად წაიღონ. ამიტომ, თუ მათ მაისურების გაცვლა სიამოვნებთ, ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, ეს დავუშალოთ, რადგან, ბოლო და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე უმთავრესი თავად ფეხბურთელების ინტერესებია. შესაბამისად, ის მოსაზრება, რომ მსგავსი საქციელისთვის მოთამაშეებს დავსჯით, სრული აბსურდია — განაცხადა ფიფას ჩინოვნიკმა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29